

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 48

2020



მთ. რედაქტორი

ნოდარ შანიძე

მწერალი, მთარგმნელი

© ვაკა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**კენცხალსალი**”, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსავას ქ. №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-855-7 (48 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემული გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემლება „მოლოდინება“ გამოსცემა ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაკადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზილენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მვი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულისიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

ჭირის მაგისტრი

(გაგრძელება)

მრავლისმეტყველად და თანაც შთამბეჭდავადადა
დახატული დედაშვილური სიყვარულის მძლეოამ-
ძლეობა მეორე ლექსში:

*

„თითქოს სოფელში ვიყავი და
უბუქცეული
ბინდი ჟუქებში უხმოდ ქრებოდა.
მოხველ,
ვით წინათ,
შემისწორე თავსასთუმალი.
გამომეღვიძა...“

დედა,
ყოფნა რა იქნებოდა
რომ ადარ იყო ჩემი სიზმრის
ხშირი სტუმარი“.



სევდანარევი და წინააღმდეგობრივია ვაჟა ეგრი-
სელის პოეტური აზრი ადამიანის სიცოცხლის, სიჭა-
ბუქის ეფემერულ ბუნებასთან დაკავშირებით. ამ
ლექსში ხატოვნადაა დახატული დედის სულის სი-
ლამაზე, სიფაქიზე და ძლიერება, შვილისადმი
ზღვარდაუდებელი, თავგანწირული ერთგულება. დი-
ახ, ლექსში გადმოცემულია ჭეშმარიტი ქართველი
დედის დიდბუნოვნება, მისი გარჯა და თავდავიწყე-
ბული ზრუნვა შვილის კეთილდღეობისათვის. ლირი-
კული გმირი თავს ბედნიერად გრძნობს, რადგანაც
მის სიზმრებში ცოცხლდება დედის სხივნათელი სა-
ხე. ეს ლექსი, რაღაც ახალ აზრობრივ ნიუანსს
გვთავაზობს და უზოგადეს ფორმაში ცხადდება პოე-
ტის ინტეიციური თუ ფილოსოფიური მიდგომა სიკ-
ვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემისადმი. ეს
ნაწარმოები ნიშანდობლივია იმითაც, რომ პოეტი
ღვთის მიმართ ბევრად ბევრი მკითხველის ვედრებას
გამოხატავს, რათა მათ უფალმა ხშირად დაასიზ-
მროს დედები, რომლებიც ზეციურ საქართველოში
ნებარებენ...

ლექსში „წუხელ სიზმარში მე ვნახე დედა“, დე-
დაზე ნოსტალგიის შთაგონებითაა დაწერილი, წარ-
სულის დაბრუნების რომანტიკული განცდითაა გაჯე-
რებული:



*

„ისევ ბიბინებს ხსოვნის ბალახი,
ჯერ დაგიწყებას დერიც კი არ წაუწყეტია,
გადმოიარა და არყოფნის

ზღვა გადალახა,
და ჩამაშტერდა თავხედურად თვალებში
ელდა.

წუხელ სიზმარში მე ვნახე დედა,
მორჩა,
გათავდა...
აწი სიზმრებს უნდა ვუცადო“.

პოეტმა აქ მთელი არსებით გაამჟღავნა საკუთარი დამოკიდებულება დედის ფენომენის მიმართ. ბევრს, ძალიან ბევრს უნახავს სიზმარში დედა, მაგრამ დედის საგალობელი, დედის მონაცრების განცდა ასე მხატვრულად არვის აუსახავს.

აქ ჭეშმარიტად გულატირებული, მჭმუნვარე ლირიკული გმირის მარადუამს გაუხუნარი აღსარებაა, რომელიც გულისძარდვამდე განგვაცდევინებს წუთისოფლის ამაოებას, რომელიც „ხალხის გრძნობა-გონების ბრძმედში გატარებული და სამარადისოდ დადგენილი ჭეშმარიტებაა“. (აკაკი წერეთელი)

ვაუა ეგრისელის ერთ-ერთი გამორჩეული ლექსია „დედა“.



*

„თბილი სიჩუმე –
შენი ხმა გაქვავებული,
სამშობლოზე ფიქრს რომ მაძალებს მე
საღამოთი.

შენი,
ო, შენი არყოფნაა
აქ რომ შებინდდა.
დილით,
მზე არა,
დედა!
შენი სული ამოდის,
უნდა გელოდო აწ მარადეამს –
დამეებიდან“.

ეს ლექსი გვარწმუნებს დედის უკვდავებაში. ვა-
ჟა ეგრისელის სიყვარულში დედისადმი შეთავსებუ-
ლია სევდისა და სიხარულის, დელვისა და სიმშვი-
დის წინააღმდეგობანი. სარკესავით უხმობს პოეტს
დედის ხატება. ენაზრება დედის ახრდილი, ამ ლექ-
სში დედისა და სამშობლის სიყვარულია ერთმანეთ-
თან პარმონიულადაა შერწყმული. დედის სახელის
უკვდავების რწმენა აძლევს პოეტს იმ სულის სიმ-
შვიდეს, რომლითაც მოჰყვება იგი ცხოვრების მარ-
თალ შარაგზას. ერთ-ერთი ლირიკული ნაწარმოები



იმისი ნათელი ილუსტრაციაა, რომ ჭეშმარიტ შვილს
ყოველთვის ადარდებს დედის მწარე ხვედრი:

*

„მცირე გორაქზე –
იასამნის ლურჯი
ტოტივით,
შენი არყოფნა პყვავის და პყვავის...
ფიქრთა ტალღებში
ელაგს ხსოვნის
პატარა ნავი,
რომელმაც მშვიდად მოგონების
ლამაზ კუნძულზე –
შენს სახილველად გადამიყვანა“.

პოეტმა კარგიდ იცის, რომ სიცოცხლე მარადიუ-
ლი ნეტარება არავისთვის ყოფილა. ფიქრმგლოვიარე
შვილს ელანდება „ხსოვნის პატარა ნავი“, რომელ-
მაც იგი მოგონების ლამაზ კუნძულზე დედის სა-
ხილველად გადაიყვანა. ეს ჭეშმარიტად მაღალმხატ-
ვრული სურათია, უმაღლესი პასუხისმგებლობა შვი-
ლისა მშობელი დედის წინაშე და ასე მოედინება
თანაგრძნობისა და სიკეთის, სიყვარულის მარადიუ-
ლი ნაკადი.

ქართული პოეზიის დამამშვენებელია ვაჟა ეგრი-
სელის სამი მინიატურული ლექსი, რომლებიც დამა-



ფიქრებელიცაა, დამაღონებელიც და დამასევდიანებელი:

*

1. „ცას მნათობები ისევ კორტნიან
და ცივ სიშორის ტოტებს
არხევენ.

არყოფნის ფიქრი –
ჩემს იმედებს
როცა შებინდავს
მაშინ,

მე მესმის ცრემლნარევი
შენი ძახილი –
მარადიული მდუმარებიდან“.

*

2. „მოგონებები, დედა,
ტპივილს კვლავ მიშუშებენ,
ისევ მიყვარხარ...
შველაფერი დარჩა
უცვლელი...

ავად ვარ ახლა,
და სხვადასხვა წამლის შუშები,
გვერდზე მიკრული თეთრი ფურცლებით –
სხედან ცალფრთიან ფრინველებივით,
სხვა არაფერი, დედაჩემ!
შველაფერი დარჩა უცვლელი“.



*

3. „სიკვდილმა სამჯერ ჩამოუქროლა
და სამივეჯერ წიწილებივით
მოსტაცა დედას სამი ბიჭი, ათასს ნარჩევი.
მის მერე ჭაში იხედებოდა
და აკეთებდა დედა არჩევანს.
ო, დედა ჩემი!“

სიამაყის გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი გონების თვალსაწიერში ვერაფერს ვხედავთ დედისა და შვილის სიყვარულის ბადალს ქართული პოეზიის ზოგადი კონტექსტების ფონზე. ლექსში ყოველი მეტაფორა, ყოველი შედარება უნიკალურია. მეტაფორების, შედარებების, სიმბოლოს პრიზმაში ტყდება ვაჟა ეგრისელის თვალით დანახული თვოსობრივად განსხვავებული საგნები, ემოციები, მოვლენები და მაინც სასწაულმოქმედია დედაშვილური სიყვარული... განსაცვიფრებლად დიდია შვილების მიმართ დედის ამაგი, რომელიც მემკვიდრეებისაგან გადაუხდელია. ეს მეტისმეტად გულმტკივნეულია, მაგრამ დედასთან ერთად გატარებული ტკბილმოსაგონარი დღეების გახსენებაც ტკივილების დამაყუჩებელი და გულის ნუგაშია.

ვაჟა ეგრისელს უყვარს ამბის, მოვლენის, სიტუაციის წარმოდგენა ფანტასტიკურ სამოსელში, იგონებს განსაკუთრებულ ფორმებს და რაღაც ტკბილი,



მიმხმობი გრძნობა იწყებს ქდერას მკითხველის
გულში, მშობლიური ძალა მთელი სიმძაფრით იღვი-
ძებს და ბადებს სიცოცხლის დიად რწმენას.

*

„ხარირემიგით გადმომდგარა
ქართლის მთებიდან
გაზაფხული და...“

სიმწვანეს ყვირის...
მზის ქვეყანაში დედაჩემო!
რა უცებ დაცხა.
სილურჯეს მორცხვად იღიმის ია,
ჩემი დღეები სულ მარცვალ-მარცვალ
ჩიტს სიჩუმეში მიაქვს და მიაქვს“.

აქ ვაჟა ეგრისელი მთელი თავისი შინაგანი პოე-
ტური ხმით მხატვრულად მოაზროვნე ფილოსოფოსი
და ადამიანის სულიერი სამყაროს ჭეშმარიტი
მბრძნაბელია, აბობოქრებული ენერგიის გულუხვი
გამცემი, რომელიც მთელი სიმძაფრით აღვიძებს და
ბადებს სილამაზესა და მშვენიერებას.

დიდ პოეტს შეუძლია აღწეროს სულის ყოველ-
გარი მდგომარეობა და მაინც უნდა ითქვას, რომ
ზოგიერთი სფერო გულთან უფრო ახლოს მიაქვს,
ვიდრე სხვები. მის ნატურაში ბევრად უფრო მგრძნო-
ბიარე, უფრო ფაქიზი ადგილებია და იმიტომ როცა



იგი მასზე წერს, როცა კი ტკივილს განიცდის, მაშინ
მისი ნაკალმარი სტრიქონები განსაკუთრებით აღელ-
ვებს მკითხველს. დედაზე შექმნილი ლექსებით პოე-
ტი ვაჟა ეგრისელი ხელახლა განიცდის თავის ბავ-
შვობას. ტრიფოლიატით კოხტად შემოღობილ ეზოს
მწვანე კონძარზე, მტრედივით ჩამჯდარ მეგრულ
ოდაში მოსმენილ დედის იავნანას და სწორედ ეს
ანიჭებს ზემოქმედების განსაკუთრებით არნახულ ძა-
ლას მის პოეზიას, მისთვის ხომ ყოველი სიტყვის
ადგილი, მუსიკალური ფრაზის უღერადობა, რიტმის
შერჩევა ხანგრძლივი ძიებისა და ფიქრის შედეგია.
პოეტის ლექსები გვაოცებენ ბრწყინვალე კომპოზი-
ციოთ:

*

„ჯუკუს ღობესთან,
ძაკას შუკასთან,
ჩანს ზამთრის თეთრი
ნაფეხურები.

ჭასთან ალვის ხე დგას გაქურდული
და მის თეთრ ტოტზე
დამჯდარ ბეღურას.

ჩემი ბაგშვობა ეპარება –
ხელში შურდულით“.



ძლიერი და შთამბეჭდავია ვაჟა ეგრისელის
მხატვრული სახე, დედის სახეში, დედის მონატრება-
შია ჩადგებული პოეტის სიცოცხლის უშესანიშნავესი
სურათები. ურუანტელისმომგვრელია პოეტის ლექსი
„იასამნები“.

„დედა მელოდა და მემახოდა
და გავარდვიე
სიმარტოვის ჟამის
სამნები.
მაისის თხუთმეტს –
უცებ წასცდა –
ჩემი სახელი
და პა, მას შემდეგ იასამნები –
ჩემს დაბადებას – ლურჯად
და ხან თეთრად ამხელენ“.

აქ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალშია
მოქცეული პოეტის განწყობილება, განცდა და სათ-
ქმელი. აქვეა შვილის დაბადებით გამოწვეული აღტა-
ცება და სისარული და დიდი პოეტის ლექსებში ჩვენ
გვხიბლავს ხასიათისა და განწყობის ბუნებრიობა,
რიტმისა და მელოდიის სილალე. აქ, ამ პოეტურ სა-
ხეებში მხატვრის თვალი იმარჯვებს, პოეტი ლაპარა-
კობს ფიქრით, ოცნებით. პოეტს უხმობს გარდასული
სამეარო და დედის აჩრდილი ევლინება ნუგეშად და



გულის საოხად და ცრემლნარევი დედის ძახილი ჩეხმის მის გულს. პოეტს გულწრფელად სჯერა, რომ მარადისობის საუფლოში დაიკანა დედის სპეტაგმა სულმა და ახალი ძალით აელვარებული - შვილს შარავანდედად ადგას მისი ხატება.

ვაჟა ეგრისელი დიდი ლირიკოსია, ლირიკა ხომ გულისნადების გამქდავნებაა და ამ გამქდავნების ფორმის ძიებას დიდი ტკივილი ახლავს თან. უნებურად დიდი გალაპტონი გამახსენდა: „რა მწარება ის, რაზედაც ჩუმად არიანო“.

ვაჟა ეგრისელის ლირიკულ ლექსებს საფუძვლად ცხოვრებისეული სიმართლე უდევს, რომლის წარმოსახვაც ფანტასტიკურ სამოსელში უდიდესი ნებისყოფის, დიადი ენერგიის წვისა და ნათების შედეგად ხდება. მთის წყაროსაგით ჩქეფს შთაგონება პოეტის არსებიდან, ინდივიდუალობის წარუმლელი ბეჭედი აზის მის თითოეულ შედევრს. პოეტის ოვალით დანახული დედა-სახე შემოდის მკიონებელის მეხსიერებაში, ილექტა მახსოვრობის ფსკერზე, სრულყოფს ჩვენს წარმოდგენებს და სიტყვაში ასახული სურათი უფრო მარადიული, დღეგრძელი და ხელშესახებია.

*

„ფერადი კაბა,

დედას ოდეს თუ ჩაუცვია,
საწყალს მაშინვე გახუნებია.



და მეც, სიკვდილი, ვჲ, რამდენჯერ „გამხუმრებია“,
რომ გავყოლოდი...
მაგრამ მოხუცი დედახემი შესცოდებია
სიცოცხლეს და...
დარჩენილა ჩემთან ბოლომდე“.

უფრო მძფრად ალბათ ძნელი წარმოსადგენია დედისადმი წრფელი სიყვარულის განცდა. უნებურად ვაჟა-ფშაველა გამახსენდა: „შვილების მღერა რომ ქსმის, დედის სიცოცხლეც ტპბილია“.

ვაჟა ეგრისელის ლექსები იმის ნათელი ილუსტრაციაა, რომ განსაკუთრებულია დედის როლი შვილის ცხოვრებაში. პოეტის ლირიკული ნაწარმოებები, რომლებიც მიძლვნილია დედისადმი, მტკიცედ გვარწმუნებს, რომ აბსოლუტურად სწორია ილია ჭავჭავაძის მოსაზრება: „ეს მარგალიტები იმ ზღვიდან არის ამოდებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი: არაფერია განგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი. აქ თავის დიდებას, თავის დიდბუნებოვნობას, სულგრძელობას თითონ ერი მეტყველობს, თვითონ ერი პლადადებს... თავის ჭეშმარიტი შვილის ბაგითა. ამისთანა მარგალიტები მარტო ზღვის ძირშია... ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და დიდი საქმეა, ვისაც ღონე შესწევნია და თავისი საკუთარი გული და თვალი იქამდინ ჩაუხვედნია. ჩვენში ბევრი ვერ დაიქადებს ამასა... გული ერისა



იგივ ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის, ხელის იქამდინ მიწვდენა-ხვედრია მარტო რჩეული კაცისა“.

ვაჟა ეგრისელის ფრაზა პეპელას ფრთასავით ნაზია და მსუბუქი. პოეტის მიერ დახატული პეიზაჟი ძალიან ახლოს დგას ფერწერასთან და ისეთივე ხელშესახებია, როგორც ტილოზე გადმოტანილი ბუნების სურათი:

*

„შორს,

სადღაც, სოფელს

ყევენ ძაღლები, –

ურმის ჭრიალით და კოლხური

თუთარჩელათი.

დავუურებ თბილისს...

და ვითარცა საგსე ჭინჭილა,

დედაზე ფიქრი ხელში მიჭირავს

და მე მგონია

გავინძრევი და ...

დამეღვრება“

პოეტის ლექსები მიძღვნილი დედისადმი გაქლენ-თილი-გაჯერებულია ტრაგიკული ელემენტებით.



*

„ვიფიქრებ:

ნახა სიზმარი ცუდი
და იმან იცის აბორგება
და გულის ხეთქვა.

სხვას შეაწეხებს, გერ დაიჭერს

კედელი
დიქტის.

— გამოიდგიძე, დედაჩემო!

ნუ ხვრინავ-მეთქი.

ო, ღმერთო ჩემო, დედა თურმე ებრძოდა სიკ-
ვდილს“.

(„დედის სიკვდილი“)

ამ ლექსის კითხისას თვალწინ გაკრთება მშო-
ბელი დედის ტანჯვით სულის დაფვა. სიკვდილ-სი-
ცოცხლის ბრძოლის მდელვარე წუთები: აქაა მრა-
ვალსაუკუნოვანი მხატვრული სიმართლე. სევდანალ-
ველი, მშობელი დედის სიკვდილით გამოწვეული
ელდა და ტრაგიკული ინტონაცია პოეტის სამყარო-
ში — ისე გამოკრთის, როგორც მნათობი დრუბლიან
ცაზე.

ვაჟა ეგრისელის ერთი ფრიად საინტერესო ლექ-
სის ლირიკული გმირებია შრომისმოყვარე, ალალ-



მართალი მამულიშვილები, პოეტის გარდაცვლილი
მამა და ცოცხალი დედა:

*

„სხვენზე დევს მამის თოხი და წალდი,
მოხუცი დედა საკერავს კერავს.
მუხის ღადარზე შიშხინებს მწვადი,
მამა არ უზის მშობლიურ კერას.
ფიქრობს დედა...
და ფიქრებს ჰგავს კვამლი,
ეზოში ფოთლებს ქარები ჰგვიან.
არ უყივლიათ მეორედ მამლებს,
მამა კი უფრო მოსულა გვიან.
გზას ფეხაკრეფით მიჰყვება დამე,
წელს მდევარივით მიჰყვება წელი
და ზოგჯერ დედას სიკვდილი მამის
ავიწყდება და დილამდე ელის“.

მნელია ამ ლექსის უცრემლოდ კითხვა. ლექსი
მიგანიშნებს, რომ მგოსნის დედ-მამას უსაზღვროდ
უყვარდათ ერთმანეთი. მასში მრავალთა მრავალი
მკითხველის ნანას-ნაგრძნობია გადმოცემული.

აქ მრავალფეროვანი და ფართო სურათია დახა-
ტული, რომელიც სასიამოვნო გრძნობებს წამოშლის.
ემოციურად, მახვილგონივრულად ნაძერწი სტრიქო-
ნებით ლირიკულ ქმნილებებშია გადმოცემულია მდი-



დარი, შთამაგონებელი აზრები, რომლებიც აღაყ-
როვანებენ მკითხველს.

დიდოსტატური სტროფებით აღტაცებული მკით-
ხველები გულწმინდად, თანაც ზუსტად აღიქვამენ
იმას, რის შესახებაც ფიქრობს გულშეწუხებული პო-
ვტი.

გარდაცვლილი მამის დაუვიწყარ სახეს გადაგ-
ვიშლის ერთ-ერთი ლექსი, სადაც დვთითმომადლე-
ბული ნიჭით რჩეული მამულიშვილი და პოეტი წერს:

*

სისხამ დილიდან

ჩემს აივანთან,
ტოტიდან ტოტზე დახტოდა და
ავბედითად უსტვენდა ჩიტი.

და...

შუადღისას მივიღე „ელვა“,
სად ცუდად ყოფნა ეწერა მამის.
და მე გავფრინდი...

მაგრამ სიკვდილი,
ჩაფრენილიყო ჩემზე ადრე,
სულ ერთი წამით“.

(„მამის სიკვდილი“)




ციტირებული სტრიქონების წაკითხვისას ვგრძნობ და განვიცდი ფრთამოტებილი არწივის ზღვარდაუდებელ მწუხარებას, ჭმუნვა-ურვას, თუმცა ამის გამომხატველი სიტყვა ლექსში გამოყენებული არ არის, ესაა დიდი გამარჯვება, დიახ, პოეტური ტრიუმფი.

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – ხახწაული და ფანტაზია
(ფიქრები კაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში





გრავლის და მზის ტაძარს

ალბათ “ჟამი მოალის”,
ახალ საოცრებათა
გაიდება ცხრაკარი!
მაგრამ ქვეყნად უნდობი
დროთა ცვალებადობა,
გრაალის და მზის ტაძარს
თითსაც ვერ მიაკარებს!

1960

ერთაღი აგბუსტინე

იგავურად თხზვა და
 თქმაში,
 ზოგჯერ ერეტიკოსთა
 სახელებიც იალებს,
 ვითა დმერთი მორიგე:
 ნეტარი ავგუსტინე
 და ულმერთო ორიგენ,
 მასთან ტერტულიანეც.

1963



სუვისები

ვითა ჯალალ-ედ-დინ-რუმი,
ვით დანტე და გოეთე!
(არა ვიღაც-ვიღაცებს,
მიეთებს და მოეთებს!)
შენ ეტრფოდი სუფიებს –
მიჯნურებს და
პოეტებს.

1964



მზის პალოზე დაები

სათარეშოდ არ გეყო –
გონჯი დედამიწა და
ზეცისაკენ იურვი...
მზის პალოზე დაები,
რადგანაც ვარსკვლავები –
სულია კოსმიური.

1962



მზის ნაშიერს და ცის ბინადარს,
ცალი თვალი კვლავ მზისკენ
გიჭირავს,
მზეს ელი, როგორც დავითს – ესავი,
და იმეორებ შენც დანტესავით:
- ქვეყნად ყოველი სიყვარული –
სიბრძნის ნიჭია.

1988



ორვეოსიგით

ზიხარ პონტოს ზღვისკარად,
მზით და მთვარით მოსილი
და წარსულის ტაძარში
მგალობელ ძველ კოლხელთა –
ელი სმათა მოხელთას...
ღმერთკაც ორვეოსიგით.

1960



როს ჭეშმარიტი წინ გვიდევს წიგნი,
გვახსოვდეს,
გით ბრძანებს ბორჩესი:¹
— მზერა მივმართოთ შიგნით.

1960

¹ ხორხე ლუის ბორჩესი — ნობელიანტი არგენტინელი მწერალი



დელფინები

ადამის ძეს ბამავენ... და –
ცად ილტვიან დელფინები;
უფლის მადლი შუბლზე აზით,
ნათელი რომ ეფინებათ,
სიშორეა –
ზეცის გაზის.

1969



დარდის შიშისფერ ტოტზე შემჯდარი,
უცებ არყოფნას იწივლებს
წავად!
და ავარდება სიცოცხლეს ალი.
მოულოდნელად მე ისე წავალ,
რომ შენს ლურჯ ცაზე –
მიპყრობილი დამრჩება თვალი.

1999



ორ დიდ ალექსანდრიელს

საცალფეხო ბილიკებით
 კოლხეთიდან –
 ათენს გსდიე...
 (დორონთ სქანი გოლუაფირო¹)
 და სიბრძნეს ვესესხებოდი –
 მე,
 ორ დიდ ალექსანდრიელს –
 კლიმენტსა და
 ბრძენკაც ფილონს.

1970

¹ ღმერთო, შენს სახელს შემოვევლე (მეგრ)



გენია

მიწის შვილობა კარგია,
მაგრამ ცის – უფრო სხვა არი –
გაბრწყინებული მთიებით.
მგოსნის გენია ზღვა არის –
“შედის და
გაედინების”.

2009



სულის თვალში ჩაიბუდე
სამება, ვით ერთიანი;
მტლად დაედე მზის აურებს.

და...

სამყარო ღმერთიანად –
ასე გაიშინაურე

2009



სიცოცხლის და ხე ცნობადის

დღეს, მიმწუხარმა მზე მოსტაცა,
და პირს აღარ უხსნის დანა,
ზღვის მოთქმა კი ცაში ადის.
ყოფნის ტყეში ერთად დგანან –
სიცოცხლის და
ხე ცნობადის.

2003



წარსულიდან გამოიხმე
და აქციე კოლხა,
ურად.

რადგანაც ის შენი იყო
და კარს მისას ნუ მოხურავ!
კოლხურ ცას და
კოლხურ მიწას –
უგალობე ძველკოლხურად.

1964



ოქროსფერი ფსალმუნები

ვით ათონელ მწიგნობარებს

წამით ადარ გქონდა მოცლა,

მაინც “ოქროს ფსალმუნები” –

აღუვლინე ცაში ლოცვად

ძველ და...

“ოქრომრავალ კოლხეთს”.

1984



800

მიინავლა რვაასი —
წელი,
რაც რუსთაველმა
ციხქვეშ ააგიზგიზა
სიყვარულის ქოცონი!
შენც შოთასგან იწყები
და მის ცეცხლს ეფიცხები,
ამაყი...
თავმომწონე...

1968



ერთგულება

სიკეთეს არაფერს ელი!

პირიქით —

ჯვარცმას და

ლურსმნებს,

რადგან შენ მარჯვენა ხელი,

სამშობლოს მაჯაზე გიდევს

და მის გულისცემას უსმენ!

1969



ვარსკვლავების ძგებით ნაბეჭს

შორს,

ღრუბლებით გაჭვარტლული,

დამეული ჩანს ბუხრები.

და ცას მოვარის უთროის ბაგე,

რადგან მეხი ემუქრება –

ვარსკვლავების ქვებით ნაგებს.

1959



სიყვარულის პომილიებს,
შენ სიძულვილს ნუ დაურთავ,
ვით საამო წუთებს ტანჯვის.
შენც, ვით ქრისტე,
ნუდარ განსჯი:
ბოროტა და
უმადურთა.

1978



ორი მომსი

შორს მიმავალს მოგეწევა –
წყევლა-კრულვა ბოროტ
ღმერთთა,
ახლა არა!
ალბათ მერე,
შემყრები სადღაც ერთად:
მიწიერ და
ციურ ერესს.

1970



წარსულიდან მოტანილს –

პონტო,

სანაპიროზე

აფენს ტალღებს, ვით კვირბებს.

შენ გსურს უფლის იადგარს,

იდუმალად მიადგა

“სათნოებათა კიბე” (იოანე პეტრიშვილი).

1966



ოქროს ფსალმუნები

დრო,

ბალახზე უფრო დაბალს,
სიმაღლეში, ცაო, მცდიდა.
და... ეს “ოქროს ფსალმუნები”,
შექმნილია არაფრისგან,
ვით სამყარო – ქაოსიდან.

1989



ასწლეულები

არავინ უწყის, საიდან მოდიან
და ან სად მიდიან –
ხელებ მაღლა აწეულები.
ბრძოლით დაღლილი –
ასწლეულები.

1963



მზის და მთვარის სასტორი

ხან დღე გადაწონის
და ხანაც – დამე,
ცას მზე და მთვარე
უკავია –
ხელის სასტორივით.
და შენი სიტყვაც –
ცის სამსჯავროზე
ათასჯერაა აწონილი.

1964



დღე – ყოველი იდუმალ,
არყოფნის ცას გახურავს,
გიკლავს სიცოცხლის წყურვილს,
არ ჩანს “დამის მსახური”,
შავი და უსახური,
რომ მიწიერს მოგთხოვოს,
ცის ბინადარი სული.

1985



ამ ცისქვეშეთში –

შენც გყავს მოცილე,

ვითარც ქრისტეს!

და მიტომ ტანზე ნათელი გეცვას!

სულ მუდამ ასე ნათლითმოსილი,

“ხვიდოდე ტაძრად,

ვითარცა ზეცად” (წმინდა

ნილოს სინელი).

1969



ქაოსიდან ამოსული,
ირეოდა მზეთა მუმლი,
სამყაროს აალებდნენ...
შენ გახსენი საიდუმლო –
უამთა იდუმალების.

1960



როგორც ვარდი შირაზის

რბიან საუკუნენი –
გადადიან ყირაზე...
მაგრამ შენი სტრიქონი,
ფაზისისპირ ყვავილობს,
როგორც ვარდი შირაზის
ანდა იერიქონის.

1968



დიპნი – ამირანი

(ვარიანტი)

ანგელოზების ისმის გალობა,
და მნათობების შორი არია,
რომლებიც დამეს თეორად ათევენ...
არა ჩანს ზეცხი,
ცათა მსაჯული.
და შენი წიგნი – “იქმენ ნათელი”!
წიგნი კი არა,
ამირანია,
თვალშეუდგამი პოეზიის კლდეს
მიჯაჭვული.

1993



ათასწლეულების იქით,
ფაზისისპირ წესს ფარული,
ლეგენდა კოლხი ასულის –
იგავური სიყვარულის,
მზის –
ოქროსბეჭდასმული.

1969




ასი ათასწლეულის –
იქით, ბნელში ალდება:
კოდხეთი და ეგვიპტე –
(სიტყვა ასჯერ მეტს იტევს)
შუმერი და
ქალდეა!

1969



მიმწერისას ისევ ისე,
ესიტყვები დუმილით –
ადრე გარდაცვლილთა სულებს
(რომელთა გზა დაასრულებ),
მლოცველ მედიუმიგით.

1966



პომა და ჰამოა

უხილავის ხელით კი
ვიღიც ცის ხეს
კვლავ ბერტყავს,
ზღვაში ცვივა მთიები...
პოი, რა საღამოა!
და შენ კოლხურ ჰავას სვამ,
ვით პომას¹ და
ჰამოას¹.

1961


¹ უკვდავების სასმელები.



ბაბრანობა და ბამობრძმელა

ხორცის არა,
მარადიულ
სულის დიად მშვენებაზე,
მიყვებოდა ამოდ დედა,
რომ მზე არის,
სულის ცეცხლით –
გაბრძნობა და გამობრძმედა.

2009



ადამ პატმოსიგით

ზეციდან ხარ მოვდენილი,
სულიწმიდის მადლმოსილი.
და კოლხური ცა გავალებს,
ვითა მზის შთამომავალი –
იყო ადამ
კადმოსივით.

1963



მატიტელა


წართხალმა¹ და წალიკამა¹,
ჩემი ყანა წალება.

აი,

ახლა,
ლელის პირას
დგას ტიტველა,
ეს საწყალი მატიტელა.

1959

¹ ერთ წლიანი მცენარეთა გვარი მატიტელასებრთა
ოჯახისა



შოთა,

გაკრთება უცებ ელვა,
ვითა ხმალი ყივჩაღის,
გერე ჩამოდგება მწუხარი,
ისე, ვით პატიება,
და ქართული ცის ჩიჩახვი
აივსება მთიებით.

1960



პრომეთე და იაკობი

შენი დიდი წინაპრების
 მობიბინე სიბრძნის ყანას,
 მთვარითა და
 მზით ამკობდი,
 როგორც ღმერთთან მორკინალი –
 პრომეთე და
 იაკობი.

1964



პოეზიის მაღალ ცისქვეშ –
ხან ლხინია,
ხან ომი! –
ღამე თეთრად ნათევი!
შენი “იქმენ ნათელი!” –
“საღვთო წერილია” და
არის “რჯულის კანონი”!

1966



არაპები... მონიოლები

სამასი ოუ ოთხასი

წელი,

ცხენთა თქარუნით

მოდიოდა მტრის ურდო –

ცეცხლითა და მახვილით

და გვიმტვრევდა მშობლიურ

კარებსა და დარაბებს.

და გმტაცებდა მზის თვალება

ვაჟებსა და გოგონებს!

მაინც, ჩვენ, ქართველები,

ვეღარ გაგვაარაბეს,

მაინც, ჩვენ, ქართველები –

ვეღარ გაგვამონგოლეს.

1960

ბანჭაბშების ბალახი

გსურდა,
რომ სიჭაბუკე,
ხელიდან არ გაგემვა,
მიტომ, ვით გილგამეშმა,
ცხრა მთა გადალახე...
მაგრამ ისე დაბერდი,
ვერსად,
ვეღარ იპოვე,
“განჭაბუკების ბალახი”.

1966



ჩვენო მამულო

(ვარიანტი)

სანამ მთიები ნათელს გალობენ,
და სანამ მთვარე –
ცად სალამურობს,
შენა ხარ ვაზი, ჩვენ კი
ლერწები!
შენთვის ვლოცულობთ,
ჩვენო მამულო!
სანამდის სულ არ დავილეწებით.

1971



პონტოს პირას,

ოქროს ხიდან,

ძველ კოლხური ოქროს სიტყვა –

მოცვიოდა, ვით ცვარ-ნამი.

და...

შენ ცის ქვეშ აბუდებდი,

ნათელ დღეს და

მზიან დამეს.

1961



ვერა და ვერ გაამრთელე,
 მოტეხილი მთვარის ყუა
 (შენც ვერცხლად ხარ
 გაჟიდული),
 თუმც ცასა და მიწის შუა –
 სიცოცხლედ ხარ
 გახიდული.

1962



ალბათ...

ცხრიდან¹ ერთი გარ ცოცხალი!!!
და აი, ახლა ისინი,
ვიცი, დღე-დღეზე მელიან!!!
აქ – რაა წუთი სოფელი,
ალბათ – იქ უფრო ბნელია!

1967

¹ პოეტი – მეცხრე შვილია, შვიდი ძმა და ორი და.



შუმერთა და ქალდეგელთა

შოორეული წინაპრების
გარჯითა და სიბრძნით ნათესს
ყანას უნდა მე ვმკიდე!
რადგან მე ვარ მემკვიდრე –
შუმერთა და
ქალდეგელთა.

1997



ღმერთს მთიებით უგალობდი
და სიყვარულს თესდი...
მკიდი...
(ახლაც ციურ ცეკველით იწვი...)
და შენ ერთმა გაამრთელე
ცას და მიწის
შეა ჩატეხილი ხიდი.

1979



პოეზიის იმპერია

მზით მოსილი იმედები
მეცხრე ცამდე აფრენილან
და ღრუბლებიც მზის ფერია.
მაშრიყიდან –
მაღრიბამდე
განვენილა,
ჩემო,
შენი პოეზიის იმპერია.

1979



ოთხი სახარება

გაბრწყინებულ მწუხერის ცაში,
სადაც მთვარე მოჩანს ტაძრად,
იქ – ლოცვით...
სხვა გახარებით –
“კოლხურ ფსალმუნს” –
უნოებ სანთლად
შენ ოთხივე სახარებას.

1971



სხვებმა გაითავისეს

ოს,

რაც მათ არ ერგებათ,

ამაზე სარ გამწყრალი.

და შენ “აისბერგებით”¹,

ქარსა და ზღვას

აწყნარებ.

1986

¹ აისბერგები – პოეტის ლექსების მეხუთე კრებულია



გოლისური

მღვრიე ათასწლეულების –
ლეგენდების წვიმა აწვიმს,
მზე უპყრია ხელში ფიცად.
და “ეფუოს”
და “ოქროს საწმისს” –
ინახავს, ვით
“სჯულის ფიცარს”.

1966



მთიები

ლოცვებია მთიები –
ცაში მოკიაფენი...
შენ ვედრებას უფალთან
- მარადიულ სულს ატან –
ფიქრის ფრთებით აფრენილს.

1964



ვილოსოფოსთა ვილოსოფოსი

ცით მოვლენილ გენიებსაც,
არ ჰყოლიათ ქვეყანა მაღლიერი
(ის მაინც სიბრძნის
ზღვას
“გიმნოსოფუნსი”¹).
ისე, ვით კლიმენტი ალექსანდრიელი –
“ფილოსოფოსთა ფილოსოფოსი”.

1968

¹ გიმნოსოფუნსი (მეგრ) – მიაპობს, მიარღვევს.



ALISTRU

მზის ცხელ ქუჩაში გამოწრთობილი
აზრი სამყაროს
ცეცხლად ედება,
როგორც ნადავლი ციურ გონების.
და... ბოლოს ყველა
შემოქმედება –
ცის სამსჯავროზე აიწონება.

2001



საიდანლაც ისევ მოდის –

ცრემლი...

ოხვრა...

ხმა გოდების...


თუმც მთიები ისევ დუმან...

- მე სიყვარულს გელოდები,

ვით უცხო და


ძვირფას სტუმარს.

1959



ოქტოს ცის ხის ტოტიდან –
ცვიგა ოქტოს ნაყოფი
(ვით ღვთის ნაღვაწ-ნაშრომი).
მიწაზე კი არყოფნა,
ყოფნას თვალს არ აშორებს.

2008



სირის თუ პალესტინის

პონტოს პირას ცა მწუხერისას,
მნათთა პირით –
გარდასულთა ჰყვება ამბავს.

შენც,
ისე, ვით ძველ ქართველი
მწიგნობარნი,

სირის თუ პალესტინის,
ცურტავ-ხანძთის და
ათონის –

ტამრებში და მონასტრებში –
წერ და ქარგავ –
ქართულ ანბანს.

1983



მამული

მირიადი წელია,
 ბრუნავს უამთა მორევი,
 მეხთა-ტეხით მემტვრევა თავზე
 ზეცა ქვითკირის.
 ეჭ, მამულო, დღეს ჩემთვის
 ცხონებაა ორივე.
 შენთვის, ჩემო მშობელო –
 სიცოცხლეც და
 სიკვდილიც.

1961



0სევ პოლხეთი

ჰეი,

მემატიანევ! –

კოლხეთის ცა –

შენ გელის...

ტანზე ოქრონაქსოვი –

ვარსკვლავეთი აცვია.

ჰეითხეთ!

გმტყვით ჰეგელი¹,

თუ საიდან იწყება ქვეყნად

ც-ი-ვ-ლ-ი-ზ-ა-ც-ი-ა.

1966

¹ ოლხეთის უძველესი მიწიდან იწყება კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესი”. ჰეგელი



დღე-დამის უღრანში,
სიცოცხლე –
სიკვდილის ძებნაა,
სხვა არაფერი.

1959



ზოგჯერ კი ასეც მომხდარა –

შარად ქცეული გზა-წვრილი,

მაგრამ მწამს ესე ნათქვამი –

ძველია,

განა ახალი:

რომ ნაბუდარზე არწივის,

ყვავი გერ გაზრდის ბახალას.

1988



პოეზიის მერიდიანი

უსამანო ცისქვეშეთის

წყლებში ბორგავს კვლავ

მზის სული.

და ბობოქრობს განგი,

ლენა,

მისისიპი და მისური!

სხვაც...

დიადნი ბევრნი დიან...

მაგრამ კოლხეთს –

დღისით,

მზისით,

ენგურ-ხობოსს

და ფაზისით,

ვიღაც ავლებს პოეზიის

ჯერარნახულ მერიდიანს.

1974

პირ, ქამბი, ანშანი

მიინავლა ცეცხლივით
საუკუნე ორმოცი
და ცივ ნატისუსალში
არაფერი არ ჩანს!
მხოლოდ პერთა მიწაზე –
ვიღაც ხმობს ძველ
ქართულად:

პირ,¹
ქამბი²
და ანშან.³

1964

¹ პირ – მტკვარი

² ქამბი – იორი

³ ანშანი – აღაზანი (მეოთხე ათასწლეული)

ამირანი

ირმის ძუძუს წოვდა ბალდი,
 ყრმას ირმის რძე ედგა ჯამით
 და კოლხეთში იზრდებოდა –
 უფლის ლოცვით,
 სულ კარნახით.
 დედა ჰყავდა –
 ღვთისმოსავი დარეჯანი,
 და მამა კი – მონადირე სულკალმახი.

1963



დამის სტუმარი

მოწყენით მზირალ უფლის ხატებთან,
სანთელს დაანთებ, ჩემო,
შენს სიგრძეს,
გაიფანტება მწუხრის ეწერი.

და...

შეაღამისას,
ვითარცა სიძე,
პირგაბადრული მთვარე გეწვევა.

1969



ეა-ენქი

ტანს “ვეშაპი” გემოსა
და კოლხეთის წარსული
შენშია დალექილი.
მიტომ სიბრძნეს აღმერთებ
შუმერ ეა-ენქივით.¹

1965

¹ ეა-ენქი – შუმერულ-აქადურ მითოლოგიაში მსოფლიო წესრიგის დამფუძნებელი ღვთაება



ქალღე და ჰელიოსი

კავკასიის ლეგენდებით
ამობურცულ მთათა მკერდზე –
ეჭ, ვინ იცის, თუ რამდენი
საუკუნის თოვლი დადნა!
თუ რამდენი დატრიალდა
ცოდვის კუვრი.
და... მთვარის ღმერთ – “ქალღეადან”,
კოლხთ მზის ღმერთი “ჰელიოსი”,
რად გვიცქერის?!

1968



ბიბლიიდან ისევ მესმის, —
 მამაკაცის ნეკნიდან რომ
 იშვა ქალი!!!
 გიყურებ და სუნთქვა მექვრის,
 მექიდება ცეცხლის ალი
 და საშინლად მტკივა ნები.

1959



საზღვე – XXI

ორმოცი დღე და ორმოცი დამე,
ვითა წარღვნის წინ,
იწვიმოს და არ გადაიღოს...
ღმერთმა ნუ ქნას და –
ცა და მიწა უცებ შეერთდეს!
და სწორი გზები გახდეს
ირიბი,

მაინც, ვით ბაყბაყს –
საუკუნეს ოცდამეერთეს,
ყელში უთუოდ გაეჩხირები...

2001



ბოსნიარის მეგალითები

ადმოსავლეთ-დასავლეთით,
ჩვენს წინაპრებს უფლის შიში
თან დასდევდათ,
როგორც ზარა.
ჭვრებ წარსულის მაგალითებს:
იმერხევის “ვეშაპებს”¹ და
გოხნარის დიდ “მეგალითებს”¹.

2009

¹ – ქართველ წარმართთა საკულტო ძეგლები
(“მოხნარი” – თეთრიწყაროს რ-ნი, პირველი
ათასწლეული)



ლაშე ღმაგში

ანგელოზების ჩუმი ჩურჩული
მაინც წვდებოდა სადღაც
მთის სმენას:
- მთებო, უღმერთოდ
დაისეტყვებით!
დამე კი მნათთა ოქროს
სიტყვებით,
ატარტალებდა ელვას –
ცის ენას.

1962



ხილგა: ზონიძის ლებედი

“ოდოია”¹ გუგუნებს
 და უღიმის მზე ყანას.
 მძინარ რედუტკალესთან²
 ორჩხომელიც³ იელვებს...
 და ვჭვრებ ფინიკიელებს:
 ვით ძარცვავენ ჩემს კოლხეთს –
 “ოქრომრავალ ქვეყანას”.

1963

¹ “ოდოია: – ნაყოფიერების დვთაების “ოდოს” საგალობელი კოლხურ პანთეონში

² რედუტკალე – ქულევი


³ ორჩხომელი – კატარლა, ოლანჭებანდირი, ნავი



შემოღვევა ფშავ-ხევსურეთში

თავზე ახურავთ ყინვის ჩაჩქანი
და მორით ჩანან მწვერვალები
თვალშეუდგამი.
მიწას დასცეკრის ცა მოხიბლული.
მთიბველები კი შემოდგომას
ძეგლებს უდგამენ...
ბილიკს მიჰყვება მთისკენ –
“მთიბლური”.

1971



ნუსხა-ხუცურსა და მრგლოვანს

ხუთი ათასწლეულის

იქით —

ჰერთა მიწაზე,

ჩვენი დიდი წინაპრების

სულთა, ისევ ისმის გლოვა:

- მისტირიან აწ

მტვერწაყრილ

ნუსხა-ხუცურსა და მრგლოვანს.

1964



მცხეთა – 3500

ათასწლეულებით შეფუთვნილი –
მთებს შუა წევს...
და კატის კნუტივით
გერაფერს ხედავს...
და სულს ძლივს ნაბავს –
ქალდეველთა სოფელი
ოუ დაბა –
მცხეთა.

1959



ტოტემი

ადრე ჩვენი წინაპარი
 თაყვანს სცემდა ჭყონდიდსა¹ და
 მის ძველ ტოტებს,
 და სწირავდა მსხვერპლად ბავშვებს
 და მისდევდა მის ბრძა
 ტოტებს!²
 ტრიალებდა ცოდვის კეპრი.
 ... უფრო ადრე ძეგლს უდგამდა:
 კოლხი – კუროს,³
 კამებს – პერი.⁴

1979

¹ ჭყონდიდი (მეგრ) – დიდი მუხა (აქედან – გიორგი ჭყონდიდელი – დავით აღმაშენებლის მოძღვარი).

² ტოტები – (ინგ. ამერიკულ ინდიულთა ენიდან) – ცხოველთა და მცენარეთა თაყვანისცემა, როგორც მფარველის

³ კურო – ბუდა, ხარი, “კურული” – საკულტო, რელიგიური დღესასწაული კოლხეთში

⁴ პერეთი – პერთა (ქართველთა) პრეისტორიული ქვექანა, ხადაც თაყვანს სცემდნენ კამებს (აქედან “კამბეზოვანი” – ქიზიფი. ძვ. VI ს.)

ამირანთ – მთა

ქრისტეს ნათლულს შეერცინე
და იმან კი,
ვით თვით ზევსმა,
ამირანტ-მთას, სადღაც რაჭას,
მიუვალ და შავკლდეს ლექსის –
სამუდამოდ მიგაჯაჭვა.

1994



პოლიტიკა – XV-XIV სს.

დიდ კოლხეთის –

ცისქვეშეთში

ცხოვრებაა საამური.

და ყვავილობს “კუტაისა”,

ვითარცა ზღვის გაღმა ური.

შადრევნებით რძე გადმოქუცხს...


სასახლეში ოხრად ყრია –

ოქრო,

გუნდრუგი და

მური.

1999



სულიფანდის პარნახით

ზეცას იდუმალების
რკინის ფარდა ახადე!
მერე ფუნჯით მთიების,
რაც პპოვე და
რაც ნახე,
ყველაფერი დახატე,
სულიწმინდის კარნახით.

1973



ლოცვად იდგნენ ქედები და
 ბორცვები,
 შენსავით მგალობელი –
 დვთიურ მონადირეთა,
 რომელთაც დღენიადაგ –
 აწვალებდათ ოცნება,
 ოქროს თევზთა,
 ოქროს რქიან –
 ირემთა.

1979



პიროს მეორე, დარიოს პირველი

ვით რომაელ ორ მეფეს,¹
ასევე ორ დიდ სპარსელ
ხელმწიფებს –
კოლხური
გვარიცა და ძირი აქვს:
(ქვეყანა გადარიოს!!!)
პირველია – კიროსი²
და მეორე – დარიოს!³

1972

¹ ორი მეფე – იგულისხმება რომის იმპერატორები:

კვინტილიანე და ვესპასიანე

² კიროს დიდი მეორე (559 – 530)

³ დარიოს პირველი (522 – 486)



ოობორც ყვავილი დანილის

ასეა წეთისოფელი,

ვითა იტყოდა დავითი:

უძილობა გვჭირს,

ხან ძილი...

გარდ-ყვავილებით მოვენილო,

აქ ყოფნა გვინდა

ხანგრძლივი.

მაგრამ დღეები გვიმოკლებს

სიშორეს დრო და მანძილის.

და ვჭკნებით ჟამთა

მინდორზე,

როგორც ყვავილი

დანძილის.

1967



0სგ “კოლეგია ფსალმურები”

არ იქნება შენს “ფსალმუნს”,

ვით შენს ცას და

შენს მიწას,

ცეცხლი გამოელიოს!

რადგან იგი, ვითარც მზე,

თავისთავში შეიცავს

წყალბადსა და ჰელიუმს.

1994



ქამს ძუჯის და ფარნებაზის

ათასწლეულების იქით,
მეფობის ჟამს კოდხეოს –
ქუჯის
და ქართლში კი – ფარნავაზის,
გაუგალი ტყე ყოფილა
ზეთისხილისა და ვაზის.
ასკდებოდა ქვევრებს ღვინო,
გით ტალღები მტკვარს და
ფაზისს.
მოწმე არის ცა – ქართული
და ბეჭედი ზედ მზის აზის.

1983



აბზუ – აფსარ – ენგური

ასურეთში კი არა,
ისე, ვით სამება,
მე კოლხეთში მეგულვის –
ღმერთი შუმერ-აქადთა –
აბზუ¹ –
აფსარ² –
ენგურ³.

1975

¹, 2, 3 მიწისქვეშა მტკნარი წყლების ღვთაება (ძვ. წ. მე-12 ს.)



60

ჰა, სამოცი მიინავლა,
რაც მშობელი მიწის ტრუობით
ხარ ნასმურად
და მასმურად.
და კვლავ წირავ დმერთს –
ჭედილას,
რადგან ოქროდ მოჭედილი –
მშობლიური ცა გახურავს.

2001



პიტორიშვილი გარაბაზინი

სადღაც სპარსეთს...

კოლხი დედა,

პონტოს პირას დანაბადი
(ისე, როგორც მედალიონს),

ფარულად დაატარებდა –

ძველ “დედაბრულ დამწერლობას”
და “კიტრიშულ კარაბადინს”.

1972



სიმარტოვე

ქარი მთელი დამე –
გათოშილ ხის ტოტებს
ჩემს ფანჯრებს გიჟივით
ახლიდა...
ფიქრებმაც დათვივით დამტორეს
და ცოცხალ-მკვდარი –
მარტოკა დამტოვეს
და გამთენისას გავარდნენ
სახლიდან.

1973



სულუმალი მილიდელი

შოორეული წარსულის
კლდეთა ციცაბოების
წარწერებში დავეძებ...
(მგოსნის ალღოს მივენდებ)
მაინც ვედარ ვპოულობ –
ტიგლტ პილესარ მესამის
“სულუმალი მილიდელს”.

1970



უშგულში

ცას მიღიარდი თვალი უელავს,
 მარადისობა რომ დამაჯეროს.
 მთაზე კი როცა –
 ოოფი ქუხებს,
 წამს გაიელვებს – პემინგუეი
 და დიდი მთები –
 კილიმანჯაროს.

1974



მონეტები

ბუდა – (ხარი) ამშვენებს,
კოლხ-იბერთა მონეტებს.
დრო ყოფილა ოდესლაც,
რომ კოლხი და იბერნი,
ხარის პულტს რომ მონებდნენ.

1968



თბილისი – 1500

აკვანს ურწევენ მოხუცი მთები,

“ნანად” ჩაესმის შრიალი

ხეთა...

და შემოურტყამს მტკვარი,

ვით ხრმალი

და...

თბილისისკენ უჭირავს

თვალი –

გვეთას.

1972



გოლეთა ჭარსული

მაშინ ებრძოდა ბნელს და
ავსულებს,
როცა ნათელის აღარ ჩანდა
ქვეყნად ნასახი.
და... შენ მძინარე გააღვიძე
კოლხთა წარსული,
მერე ფერებით “ფსალმუნებში”
შემოიტყვა
და, ვით შეგეძლო, დააპურე
და დაასახლე.

1971



სადღაც,

აღმოსავლეთით,

მამალმა მზე იყივლა

და მერე ხმა გაცმიდა!

ჩაქრა შუქი ვარსკვლავთა —

მირიადი —

სარკმლიდან.

1960



შარას კი არა, მივყვებით ბილიქს,
და ხშირად დგება მიმწუხრის
ბინდი,
რომელიც დადლილთ ანიჭებს შვებას,
იღლება კარი –
იქ ბეგრი მიდის...
იკეტება და...
აქ ცოტა რჩება.

2004



ანდრეზი¹

აგსულები პატრონბდნენ –
თეთრ არაგვს და
მერე – შავს!
მაგრამ გმირმა იახსარმა,
ფშავ-ხევსურნი გამომგლიჯა –
რადგან თითო არ ჰყოფნიდათ
თითო ინჯად!
დევებსა და წყაროს წყალის
მოდარაჯე გველეშაპს.

1972

¹ ანდრეზი – მითოსი, მითი



ამაღლება

მეხთა ტეხა და იყო ქუხილი
და მაცვიოდა ვარსკვლავთა
მტვერი.
სადღაც მზე იდგა მცხუნვარ ამინდად.
უსამანო ცის ავხადე ჭერი,
ასე გავედი დღეში,
დამიდან.

1964



პონტოს პირას –

ცაზე მოჯთან თუ მედეას,
თეთრ ბაღებთან,
იქ, სადაც ხე დგას ჩინარის,
ვით ქვეყნის დასალიერი.
უცებ გაჩნდი და უცებვე
გაქრი და გაჟინარდი,
ვით წყლის პირას მომტირადი
ტარიელი.

1978



შენ პოსმოსში ბინადრობ

სანატრელი რა დაგრჩა!

ან რა უნდა ინატრო!

ზე-ცა სულეთია

და იმიტომ გაკოცა.

შენ კოსმოსში ბინადრობ...

და შენოვის სულ ერთია,

მიკროცა და

მაკროცა.

2001



მიიღია ერგასი,
გელი ჟამთა მოხელოვას,
რომ “ახალი კოლხეთი”
“ოქრომრავალ –
ქვეყანად,
გაქციო “ძეგლ კოლხეთად”.

1991



მას მორჩილებს ზღვა და ხმელი,
დღეებს თითისტარზე ართავს.
და მილალავს, ვით ცხვრის ფარას –
ერთად –
მტყუანსა თუ
მართალს...
თუ ჩემი ხმა მოგენატრათ:
ყური უგდეთ ქარში შავ ზღვას,
ან დაუხვდით ენგურს –
ჯვართან.

1964

ხელო ქალდეველ- ატლანტიდელთა

წამებრ გაფრინდნენ ასწლეულები
და სიცოცხლეში ვეღარ
ავხსენი,
მათი მდინარე საით იდენდა...
და მოსვლის დღიდან აღარ
მასვენებს
ხელო ქალდეველ-ატლანტიდელთა.

1975



რჯულიანთ თუ ურჯულოთ,
გარდასული დღეების
ისევ კლავთ აგონია,
რადგან ზოგ-ზოგ “მეზობელს”,
ვითა დიდი ხნის წინათ:
 ბათუმი და გონიო
 კვლავ თავისი პგონია.

1989



ორი იოანე

საქართველოს მზე ენთოთ
მახვილივით ალესილ –
უკვდავებით მოსილებს...
ახლაც...
დიდიხნის მერე,
სინას მთიდან ხმა მესმის –
ორ დიდ იოანესი:
მინჩხისა
და ზოსიმეს!

1974



მებალითები, მონოლითები

გოლიათი წინაპრების

გონიო ნაგებ მეგალითებს,¹

“ექშაპებს”² და მონოლითებს³

ცხადად ვხედავ...

და წამითაც

არ მორჩილებ ლეგენდებს და

არც არასდროს მონობ მითებს.

1986

^{1,2,3} — უზარმაზარი ქვის საკულტო ძეგლები



ବାଲାକତିକାଳୀ, କଣ୍ଠାରୀତିକାଳୀ

ଯିବେ ଶୁଣାମାନଙ୍କ ସିଫରିଜେଥି,
ଅଧାମିଲ ମନ୍ଦଗମା ଗୀର ଦାତଗଲିଲ
ବାଲାକତିକାଳୀରେ ରା
କଣ୍ଠାରୀତିକାଳୀ...
ଅନ୍ଧବାଟ, ପିତାରିଙ୍କା ମନୀଖି,
ମିରିବାଦି ବାଲାକତିକାଳୀ.

1987



0სევ პოლნეთი

აღარ ჩანდა ცა და მიწა,
კოლხეთი კი თვალს ახელდა
და წყვდიადში მიდიოდა...
უკან ათასწლეულები
მიჰკიოდნენ –
მიკიოტად.

1962



ბანანელი და მატათა

ქრისტეს ოწმენა აქციეს
 მათ წესად და ადათად
 და ცას ცრემლი მოსწმინდეს!
 აი, მიტომ კოლხეთი –
 სანთელს უნთებ ორ წმინდანს –
 კანანელს და
 მატათას.

1969



ხმა

“აუგტანელია რომაელი დამპყრობლების
მსუნავობა...”

მითრიდატე VI ევპატორი

ხმა მოაქვს პონტოდან ქარიშხალს,
სამყაროს ქრუანტლად რომ უვლის
და სიკვდილს სიცოცხლეს რომ
აშიებს:

- მგლის მადა გამოყვათ,
მგლის ძუძუთ
გაზრდილი,
რემის და რომულის –

სისხლით გაუმაძღარ ნაშიერო!

1981

პოეზი

სიცოცხლეს და სიკვდილსაც –
 ორიგეს რომ იფერებს,
 ვითარცა კაპოეტი.¹
 მთვარისა და
 მზისფერი,
 მწვერვალია პოეტი.

1965

¹ კაპოეტი – “ფრინველი წელიწადგამოვლილი” (საბა).



დიდ ქვეყანას პოლხეთის

ჰელიოსის შვილობილს –

მზის და მთვარის ფრთებიანს,

ციდან ოქროდ მოხეთქილ –

დიდ ქვეყანას კოლხეთის –

ეშმა დაუფლებია,

ისტორია დაკარგულს!!!


1960



ტიციან ტაბიძე, პარლო იაშვილი

უამი საუკუნეებს,
ვითა ზვირთებს ფაზისის,
დავიწყების შავ კლდეებს
ისევ ისე მიაშლის,
ვით წარმართთა წარწერებს.
მაგრამ ბუზს ვერ აუფრენს,
ტაბიძეს და იაშვილს –
რჩეულ “ცისფერყანწელებს”.

1964



სინათლის სჩეტი

მიაპობს დროსა და სივრცეებს
და უძლებს მეხსა და
ქარტებილს!
აღარ წყვეტს ზე-ცაში ხეტიალს...
რადგანაც მზისაგან ნატეხი
პოეტი —
სინათლის სვეტია.

1969

იოანეს სახარებას
 და ბიბლიას,
 უამს მწუხარისას რომ შევუვლი,
 კვლავ დგას წარდვნის სიმყუდროვე.
 წუხს კამეჩის ყროფინის ხმა
 შორეული:
 – ნოეე!..
 ნოე...

1959



ხილვა: მოსე და მარიამი

ათასეულ წლის მერე,
წვიმაა თუ ქარია,
ზეცის თაღს აბნელებენ
ყვავები და ქორები...
და გჰვრებ მთაზე ქორიბის,
მაყვლის ბუჩქთან მუხლმოყრილ
მოსესა და მარიამს.

1966



მარტინი

სადღაც ერთი ვარსკვლავი
 ციდან ლამობს აწყვეტას,
 რადგან მას ელოდება –
 სივრცეები გაშლილი...
 ზღვად მიმწუხრის შავ ტოტზე
 მზე ზის მამრი შაშვივით
 და თვალებდახუჭული
 გალობს ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

1958



რადგან საუნჯე უთვლელი
განგებამ მისთვის ინება! –
პოეტიც ზღვაა უძირო
და, ვით იტყოდა რუსთველი:
– შედის და...
გაედინება...

1996



ჰემინგუელს და იაშვილს

როს ხსოვნა დღეებს გარდასულს,
სულ ერთმანეთზე მიაშლის,
იელვებს სახე დრაკონის.
ოოფის ქუხილი წყვდიადში,
არ ვიცი,
რატომ მაგონებს –
ჰემინგუელს და იაშვილს!

1973



ხილგა: მმინდა ნინო კაბაღოპიელი

ათასეულ წელთა მერქ,
ზედაზენზე რომ ავალ
და გავხედავ ქართლის ველებს,
უამთა ნისლში ისევ ვხედავ:
წმინდა ნინოს ჯვრით ხელში და
ფეხშიშველას –
მცხეთისაკენ მომავალს.

1968



პოეტის სული

ცოტნებს ახლდა დადიანს
 მცხუნვარ მზეზე ანისის.
 მზე ბუგავდა დარღიანს,
 ცეცხლი წვავდა კრწანისის
 (თათარს არ იკარებდა
 ჩე გოლა და ლებარდე).
 და ესმოდა ყიუინა დიდგორის და
 მარაბდის.
 პოეტს სული უკვდავი ედგა დაბადებამდე
 და ედგმევა სიკვდილის შემდეგაც და...
 მარადის.

1994



ნოე ჩამოდის სინათლედ –
ვარსკვლავების ჰიმნია –
მიწის ნათლით მოსავი.
მგოსნის ხმაც –
მედინია,
მზის სისტემის დროსავით.

1969



“ყოფნა, არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის”

შექსპირი

ჩვენ, გადამფრენი ფრინველებივით,
აქ ყოფნის სის ტოტებზე
ვსხედვართ,
სანამ არყოფნა აგვიქშევს.
უფრო სწორად კი,
ჩვენ სიცოცხლეს –
ვართ მიჯაჭვული,
სანამ სიკვდილი აგვიშვებს.

1975



მზე

სამყაროს უდიდეს დღესასწაულს,
საარის ხმაზე ყოველ დილით,
ყველგან და ყოველთვის
მზეს ელიან,
რადგანაც იგი –
ადამის მოდგმისთვის –
ლოცვის და გოდების
კედულია.

1971



ზეცა – სკაა ქოსმიური,
 გამგებელი მზეა – დედა.
 და ცრემლებად ცვივა ნამი,
 როს უამურ სიზმრებს ხედავს.
 ძილგამტყდარი ვარსკვლავები
 მეხსიერებაა დამის.

1961



იმედის დასამარების

გადააგორეთ ლოდები,

ამაღლდით, როგორც მესია!

სიკვდილის შიშით —

სიკვდილი,

სიკვდილზე უარესია!

1966



მებმა სიჩუმეს გადუტყლაშუნა,
 გადაიქროლეს სივრცეები
 ელვის კვიცებმა...
 შეწყვიტეს ვარსკვლავებმა მასლაათი.
 ცას უკეთია მოვერცხლილი
 მოვარის საათი
 და უთვლის დედამიწას
 მაჯისცემას.

1968



კარგად იცი,
გინც ხარ,
რაც ხარ,
რა გზებით და ბილიკებით,
ოცნებების ახველ ცამდე.
შენც ხომ, ჩემო,
მზე არა ხარ,
საკუთარ თავს არ ხედავდე!

1974



მ0შა-მპურნალი

ადამის ძის მოსვლის დღიდან –
ყოფნასა და აქ არყოფნას,
ფარული რომ მიდის დავა,
ეს აშკარად ჩანს უდავოდ!
ბოლოს ყველა მოურჩენელს,
მიწა კურნავს სამუდამოდ.

1988



ასეა ოდიდან —

სიკვდილი მოდის შინ,

აკითხავს სიცოცხლეს

და... დრო, ვით გარბის —

ცუდის მოლოდინში,

კარგისას,

გუსავით მიცოცავს.

1962



მზისა და მთვარის პიმი

“ბევა დიდა რე ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხევი –
და დო ჯიმა ჩქიმი”.
(“მზე დედაა ჩემი,
მთვარე – მამაჩემი.
მოციმციმე ვარსკვლავები –
და და მმაა ჩემი”)

გვეი!

როდის...

ვინ იცის...

მილიონის წლის წინათ –

მთვარისა და მზის პიმნი
ჰქონდათ კოლხებს –
იბერებს!

მიტომ არ იკარებდნენ

სიკვდილსა

და სიბერეს.

1961

შიში

ქვეყნად უბედურების მომტანი

შიში —

ცეცხლია და ხანძარია.

და იგი, ვით ტრამონტანა,¹

გალობს არყოფნის არიას.

შიში სიკვდილის მაცნეა და...

სიცოცხლის —

უცაბედი თავზარია.

1986

¹ ტრამონტანა (ესპ) — ჩრდილოეთის ცივი ქარი
ხმელთაშუა ზღვაში



მზე

რაც არის და რაც არ არის,
სულიერი და
უსულო,
კველაფერი მზეს ერთვიან...
მზე – დმერთია...
მიღიონი მზე არის და...
მაგრამ მაინც მზე –
ერთია.

1979



წარსულიდან ქარიშხალს,
აფრების თეორ ტბაცუნთან,
ხმებიც მოაქვს კიროსის¹...
და... ქანკალებს კოლხეთი,
პონტოს –
სანაპიროთი.

1964

¹ კიროსი – სპარსეთის მეფე



ვარსკვლავებით ნაგები

ცა –

ციხეა ქვიტკირის.

უსულოთა სულები,

სარდაფებში იქ ყრია

და ჩვენ ჩუმად მივსტირით.

ქამს კი უბედურების –

სიცოცხლეც და

სიკვდილიც,

თავს პვლავ ერთად იყრიან.

2009



ატლანტიდელ ქალდეველებს

ჩამსხვრევია ზე-ცას მინა,
ჰელიოსი მზეს აელვებს
ხსოვნის ოკეანის ფსკერზე –
მარადიულ ძილით ძინავთ
და ვერაფრით ვერ ვაღვიძებ
ატლანტიდელ ქალდეველებს.

2013



ვითარცა დარეჯანის ძე,
დევებს კეტრძოდი ნიადაგ
და...
ბერე, როგორც პოეტი,
ლეგენდებიდან მოვედი,
თუმც ცოტა დამაგვიანდა!

1972



ვინაც გულით ილოცა,
ღმერთმა ყველა აცხონა
(ოუმც სიცოცხლე პქონდათ იმათ
მწარე და უგემური).

მზე –

სახეა მაცხოვრის,
მწველი,
კოსმოგენური.

1978



ხილვა: ზაბილონი და სოსანა

სანთლით ხელში...

სიყვარულით –

ორივ უფლის მოსავი!

გხედავ: თავის ქალწულ ნინოს,

“იბერთ ქვეყნად”

რომ აგზავნის –

მამა – ბრძენი ზაბილონი

და ღვთის მონა დედა

წმინდა – სოსანა.

1964



ვინც აღუვლენს უფალს ლოცვას,
ეკლის ნაცვლად
ჰპოვებს იას.
ყოფნა მოჰვავს ელეგიას.
შენ აღიქვამ პოეზიას
ისე,
როგორც რელიგიას.

1979



ხილული თუ უხილავი
მზე,
მოგარე და
ვარსკვლავები,
ცის ქვაბში ვერ ეტევა,
სხვა რამდენი პლანეტა და
სფეროები,
ყრია ბნელში ბელტებად!

1989



გოლჩური მზე

შენც,

ისე, ვით აფროდიტე,
როცა იშვი ზღვის ქაფიდან,
იგრძნეს ოკეანეებმა,
ზღვებმა,
მთებმა,
მწვერვალებმა...
და სამყაროს მოეფინა –
კოლხური მზის ელგარება.

2012



პიკარისი

ორთაჭალის ბაღებთან,
 მტკვრის მარჯვენა ნაპირზე
 დგას ხე კიპარისის,
 და მას მოფარებული,
 ჩუმად ისარს მიმიზნებს
 ვიდაც, როგორც პარისი.¹

2010

¹ პარისი, რომელმაც ქუსლში სასიკვდილოდ დაჭრა ბერძენთა უმამაცესი გმირი აქილევსი



განთიადის გარსპგლავი

ზესპნელსა და ქვესპნელს შუა,
ნათლის სვეტი დგას დიადი.
სიშორის ცის ელგარება
დედამიწას სულ ში ატანს.

და...

გარსპგლავი განთიადის
მაცხოვარის მოჩანს ხატად.

1980

© მარიამ გოლცერი

სიბრძნის ღვინო

ქვეყნად მოსკლის დღიდან იბრძვი,

აიეტის კოლხეთმა რომ

არასოდეს დაიგმინოს.

რადგან ცაში დამარხული

ვარსკვლავების ძველ ქვევრებში,

ისევ მეგულება სიბრძნის

“ძველი, დაწმენდილი ღვინო”.

(ესაია წინასწარმეტყველი)

2000



შამპალა და ანდები

ვით ცამცუმმა,

უსუპმა და ამირანმა,

დევებთან და ავსულებთან

იბრძოლე და იომე...

(აისრულე გულის ყველა ნადები!)

და დაყარე ღია ცისქვეშ –

მთები კავკასიონის,

შამბალა და ანდები...

2005



ტიგროსის და ეფურატის
პირას ისევ დავეძებ –
მითებით და ლეგენდებით
შეფუთვილ –
ჩემი დიადი კოლხეთის –
მეხსიერებადაგარგულ
ისტორიას
და... “ეფუთის”.

1961



აღსარება


მოსულს ციდან არყოფნის,
მეფის პორფირი გშვენის.
ცისკრის კარი შეაღვ.
და... “იქცეს ბნელი შენი,
ვითარცა შუვა დღე”.
(ნეტარი ავგუსტინე.
“აღსარება”)

1979



წუთისოფლის ტიალ გზაზე –
 თუ მოგშივდა და
 შეგცივდა,
 დაელოდე ცეცხლს და ზეფირს,
 და წყალობას –
 სიტყვის მეფის,
 სადაც იშვი იმ ზეციდან.

1960



დამე მოპგავს ჰარამხანას,
სადღაც ბნელში ხმა ირწევა,
თითქოს ვიღაც საჭურისს ელის...
შენ კი, ჩემო!

ხელთ გიპყრია ხრმალი
რწმენის,
წელთ გარტყია “უფლის
მთელი
საჭურველი”.

1965



ხშირად ხდები აგად ლექსით

ვითარცა მზე ოქროს სხივით,
სულ ივსება ოქროს ფიქრით,
შენი ოქროს ცის ურნები.
რადგან უფლის მადლი შესვი,
ხშირად ხდები ავად ლექსით
და ლექსითვე იკურნები.

2016



ოშპს, იშნეს, პოლა-არტაანს

საქართველო მის შვილებს:

- ტაო-კლარჯეთს¹ და

შავშეთს²,

ოშპს³,

იშნეს⁴,

კოლა-არტაანს⁵,

სანამ სული უდგია,

ყვავ-ყორნებს არ გაატანს.

1966

^{1, 2, 3, 4, 5} – ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა



ვითარცა მზე პირმცინარე,
რომ დაუგლის ყოველ
დილით,
ქალაქს,
სოფელსა და აულს,
ასე ყოფნაც...
არ ყოფნას ვინ აღირსება –
თავის ლამაზ დღესასწაულს.


2013



პიმირიელთ სასანიდებს

“ოქროს ურდოს”,
კიმირიელთ,
ქართველთ მუსრავ სასანიდებს –
დავიწყების ვირ-თაგვები
შესევია,
ვით ძველსა და მიტოვებულ
სასიმინდეს.

1965



ცაა – უფლის საგანე

სიჩუმიდან გამოკრთის

მთვარე,

ვით პატიება.

და სიშორის მინდვრებზე –

სერაფიმთა გალობის

ყვავის იასამანი...

ცაა – უფლის საგანე..

სამოსახლო მთიების...

1964



ჰეროსტატე

უკვდავების მაძიებელთ,

მგოსნებს –

სიტყვის დიდოსტატებს,

უსათუოდ გაერევა –

ერთი “ბრძენი” ჰეროსტატე¹.

1969

¹ ჰეროსტატე (ბერძ) – ულირსი საქციელით განთქმული სახელი, რომელმაც უკვდავებოგის მიზნით ძვ.წ.ად 356 წელს დაწვა არტემიდა ეფესელის ბრწყინვალე ტაძარი

ჰერმეტული

ეს შენ გამოიგონე –
ერთი,
სამს რომ უდრიდეს!
ისე “გმანავ” სტრიქონებს,
თითქოს ბაძავ ეგვიპტელ
ჰერმეს –
სამგზის უდიდესს.

2014



მბოსანი

ვითარც უფალი, მგოსანი,
რადგანაც ცაში ბინადრობს,
მისი შექმნილი გგონია –
ყველა ლეგენდა
და მითი,
თეოგენ¹ – კოსმოგონია.

2008

1¹-თეოგონია (ბერძ.) – ღმერთების წამოშობა.
2- კოსმოგონია (ბერძ.) – სამყაროს წარმოშობა.



ბეჭის ტაძარი¹

ამაქვეყნიურ მზეს გამოესალმნენ –

დედა – გურანდუხები და

მეფე ბაგრატ მესამე –

როდის?! –

სულს დაფავს თარიღი,

“მაშველის” მოლოდინში:

აქ განისვენებს ოდიშის –

“დიოფალ – დიოფალი” მარიხი.

1971

¹ ბეჭის ტაძარი 999 წელს ააგო ბაგრატ მესამემ – გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ.



ბაზარაული

სამშობლოს მტრებს და
ორგულებს,
ზარავთ შენი ხმა გმირული
და თა ნაც შენი ლექსების
ყველა ნაჭედი სტრიქონი –
ხმალია “გველისპირული”.

1993



პოლხეა გამაპეთა მე

ორსულ ქვევრებს და კოკებს,
 დოქებსა და ჭინჭილებს –
 (მხრებზე ათასწლეულთა
 მზე რომ გადაიჭიმეს!)
 გამობერილ მუცლებზე –
 მთაგრულ – მრგლოვან –
 ნუსხეურით
 სიამაყით ეწერათ:
 “კოლხება გამაკეთა მე”
 და... მით მთელი მიღეთი
 იყო მონუსხეული.

1962



ხევსურული ქუდი

პარიზს, თბილისს და წიკაგოს,
გიო ჩემს ხორგას
და ნატანეგს
დამდევს ფიცი “ათი მცნების”.
და... ხევსურულ ქუდს
გატარებ,
დიდი გაჟას პატივისცემით.

1980



უცხო სასაფლაო

ზოგს პგონია ხუმრობა,
მაგრამ მიღეთს აოცებს –
შენი –
უცებ სტუმრობა,
მირიადი მთიებით პრწყინავ
მეცამეტე ცის –
უცხო სასაფლაოზე.

1981



ავხაზნი და ოდიშარნი

მითებით და ლეგენდებით
დახუნდლული ცა კოლხური
ეხურათ და...
იყვნენ უფლის მოშიშარნი.
და ვითა დიოსკურები,
იყვნენ ნაღდი ტყუპისცალი
აფხაზნი და ოდიშარნი.

1970



ლიპანი

ტყეს შეყვეულ ბაკურიანს,
ახლა დიდად აღარ უკვირს,
რომ სიმწვანე მოსაგს
ლიკენს,
რომ ირმებით და შვლის ნუკრით
ჰგავს –
“ბიჭვინთის მოზაიქას”.

1971



უფალი თუ გაიმატეს

ცხოვრება კი მუდამ ჭირდა,

მაგრამ მხრები –

შენს იმედებს,

შენს მოქბს მაღლა აუზიდავო...

უფალი თუ გაიმეტებს –

კაცთა მოდგმა წყალს დალეგს შენს

კოლხურ ჭიდან

და იბერთა უსამანო აუზიდან.

1960



ხოლგა: ხეთი და მიღია

ათასწლეულების იქით –
 პონტოს პირას ხოხობივით
 ზის კოლხეთი...
 და ბარტყებად
 ჩანს ხეთი და მიღია.
 კოლხურ ცას კი ცისარტყელა,
 გითა აფთი¹ ჰკიდია.

1962

¹ – აფთი – “მახვილი, ბრტყელი და ტანგრძელი” (ხაბა).



ქართველი ზღვაზე

როს ყური მოპკრეს დელვას
ქარიშხლის,
ღუზა ჩაუშვეს წამს მატროსებმა,
სადღაც კუნძულთან,
როგორც წინა დღეს!
მერე ტალღებში ალბატროსების
ფრთები შეისხეს...
და ზღვის წყვდიადში
გაუჩინარდნენ...


1959



ხილგა: შავშეთ-ერუშეთი

ათასეული წლის მერვ,
 ისევ წუხილით ვიგსები,
 რადგან გჭვრებ:
 შავშეთ-ერუშეთს.
 “გურჯისტანისკენ” მომზირალთ –
 ცრემლებით საგსე თვალებით
 და მოღრეცილი კისრებით.

1961



ქად მარიტენი,
ქორქ რუო

ო, რამდენი ბაჯაღლო ოქრო,
თვალ-მარგალიტი...
(მათთან ერთად რიოში)
ჩაკარგულა ენგურში,
ხობოსა და რიონში,
როგორც ჟაპ მარიტენში¹
ანდა გით ჟორჟ რუოში².

1983

¹ ჟაპ მარიტენი – ფრანგი ფილოსოფოსი

² ჟორჟ რუო – ფრანგი მხატვარი



ორი მისტრალი

ლექსები და ლექსები –
ისე, ვით ბრილიანტი!
ორივ ნობელიანტი
(ორივ ნამინისტრალი!)
ორი¹ დიდი პოეტი
და ორიგვე² მისტრალი.

1969

¹ გაბრიელა მისტრალი – (ჩილე, 1889 – 1957)

² ფრედერიკ მისტრალი – (პროვანსელია, 1830 – 1914)



ხილვა – “მარი”

როცა ფიქრით ევფრატის
ცივ ნაპირებს შევუვლი,
გაიელვებს ქალაქი –
ხეთიათასწლეულის
იქით მდგარი...
მოსული,
ვით ლეგენდა აქამდე.
“მარი”¹ – დიდი სამეფო შუმერის და...
აქადის.

1965

¹ «მარი» – უძველესი ქალაქი – სახელმწიფო მესოპოტამიაში (ძვ. წ. XXVII)



საიდანდაც მოფრენილმა
ქარმა უცებ იწივლა
და ზღვისპირას მოთამაშე
ტალღა, როგორც წიწილა,
აიტაცა წყვდიადში,
სალღაც წააწივწიგა.

1957



ზოგი რწმენით სნეულია
და ზოგს ვნებით
ბაგე უთორთის,
რადგან ტრფობის ზოდი იქ ძევს.
ორი ათასწლეულია —
ათი ქალწულთაგან
ხუთი —
ისევ ელოდება სიზეს.

1964



შენი პოლიტიკი

“ოქრომრავალი” შენი პოლიტიკი,
 არ გშორდება და ძილზი
 გაბოდებს...
 და გელანდება გილიოტინა
 და ეშაფოტი.
 წამებული და ძელზე გასმული
 (ვით საქართველოს დიდი
 წარსული!)

წყალს მიაქვს შენი მზე,
 ვით ნაფოტი!

1989



ჰეშმარიტების ტეგანი

ვით “სახარება” ოთხივე,
და “მრავალთავი სინური”,
ოქროპირივით დაღადებს:
- გათენდა?! -
უნდა დაღამდეს!
/მნელია ღამის თევანი/
მაგრამ ის ვაზის კვირტია,
“ჰეშმარიტების ტევანი”.

1972



გზას კი ყოველა გვასწავლის

ფეხზე გამობმული გვაქვს

გზები,

როგორც ბაწარი.

არვინ უწყის დღეები.

ჟამბა თუ სად მიმალა!

გზას კი ყოვნა

გვასწავლის,

არყოფნისკენ მიმავალს.

1993



როცა რომს გადავუფრინეთ,
ძუ მბლის ყმუილი მოგვესმა –
რემ და რომულის
გამზრდელის.
და აყაყანდნენ ბატები –
ხილვაზე ზე-ცის მემელის.
წამს გაიელვა ხატებამ,
ასულის ხიონეველის.

1983



ათი მნათი

დავიწყების პუნქტულიდან –

შენ კოლხური მზის

და მთვარის

თავზე გადგას ათინათი

(ცის კიბე კი აქ იწყება)

და შორეულ გზას გინათებს,
ისე, როგორც “ათი მცნება”,

ბრწყინვალება ათი მნათის.

1967



რუალ ამუნდსენ

ამ დამეულ უღრანში –
ნათელს გედარ ვპოულობ!!!
და მეც,
რუალ ამუნდსენ¹!
ვით პოეტი აულო,
ხალხს,
კპლავ გაგდებ ნამუსზე.

1998

¹ რუალ ამუნდსენი – ნორვეგიელი მოგზაური,
პოლარეთის მკვლევარი (1872 – 1928)



პატოა და გუნება

რა ვქნა,
 არ მხიბლავს დანტეს სონეტი,
 და არც პეტრარკას –
 ვიწვი ალერსით.
 ლექსს მოკლე ვადა აღარ უხდება,
 ის უნდა ჰგავდეს –
 გრძელტარიან მახვილს
 ალესილს!

1960



იასამანი

მოწყენილი რომ სივრცეს გაჰყურებ,
ჩემო ლურჯთვალა იასამანო,
ეს დედამიწა ცას რომ
შეისკვნია,
შენ რად გგონია სულ უსამანო,
ერთი ფრთის გაშლა
არის მესკიას.

1964



1941 წლის 15 მაისი

(ვარიანტი)

პარას ჭალაში იდგა მაისი
და გაზაფხული წნავდა
გვირგვინებს,
შენი ყოფნის ცა როცა აგრგვინდა...
და შენც სიცოცხლის ბაღში
წამით “შემოირბინე”
შიშველ-ტიტველმა... და აი, ახლა,
წასვლა არ გინდა!

1961



სურბოლი

ნეტავი მზემ მიმიკაროს
და მეც ისე,
გით იკაროსს,
ფერფლად ვიქცე!
დე, დავიწვა!
სურვილი მკლავს აქ მოსვლიდან:
რომ საწყალი დედამიწა
და დავინახო
კოსმოსიდან.

2016



აიგზის ნაშიერი,
 კოლხთა მეუფობას ლამობ
 და ედრები ფიქრით თეზევსს¹.
 ვით გმირნი და მონადირე –
 ხშირად იჭერ ოქროს თევზებს
 და ოქროსფერრქიან
 ირემს.

1966

¹ თეზევსი – უდიდესი ეროვნული გმირი პერატეს შემ-დეგ. მოგვიანებით ათენის მეცნ



დმერთს მინდობილი, ვით მაცხოვარი,
ფარისეველთა ჯოგს არ
იკარებ.

ზურგს გიმაგრებენ დღეთა ტინები.
შენ კი არა ხარ კაცი –
თვითემარი,
ცასა და მიწას ეპოტინები.

2015



საუკუნე მიიღია,

ოწმენის ქვაზე ალესილი,

რომ ელვარებს შენ წინ დანა.

დრო მოვა და

ვით ილიას,

შეგრაცხავენ შენ წმინდანად.

2001



მოლოდინი

საქართველოს ზღვისკარად –
ლეგენდიდან მოსული,
თოვლით შუბლშეფეხქილი
დგანან მთები ორსული
და ქლიან იალონს,
უნდა იმშობიარონ:
ამირანი!
აბრსკილი!
არამხუტუ!

ბეთქილი!

1989



ვაზისი და თერმოდონტი

“არგონავტებმა როცა თერმოდონტეს
ჩაუარეს, უკვე ფაზისში მოხვდნენ!”
აპოლონიოს როდოსელი

ათასწლეულების მერე,
როცა “არგოს” იხსენებენ,
კოლხთა გულებს შავფრთიანი
დარდი კორტნის...
და ივსება აფრიანი ნავებით და
გლისერებით,
ფაზისი და თერმოდონტი.

1957



უფლისადმი აღვლენილი

ეს პატარა სტრიქონები –
საქართველოს მაღალ ცისქვეშ,
დამე თეორად ნათევარი,
ცაში ლოცვად ავლენ დილით,
და ვით შენი “ფსალმუნები”,
ერთი დიდი ვედრებაა –
უფლისადმი აღვლენილი.

1993



ცეცხლს, ყყალსა და ჰაერსაც

პარნასის მთებს ტორს სცემენ,
 შენი შავრა რაშები!
 (მათ დრო “ეუარესათ!”)
 შენ კი ეთამაშები –
 ერთად ზესპნელს და
 ქვესპნელს,
 ცეცხლს,
 წყალსა და ჰაერსაც.

1969



ადგილის ღეღა

ღმერთს ცეცხლი იმიტომ მოვტაცე,
და ქვეყნად იმიტომ მოვედი,
რომ მიწას ბორკილი ავყარო.

და...

ჩემთვის, ვითარცა პოეტის,
ადგილის დედაა სამყარო.

1969



ମାତ୍ରାମାତ୍ରା ୫

არც მეშვიდე,
და არც მეცხრე!
მეცამეტე ცისკენ ილტვი –
(მზის გულით და მოვარის
ფილტვით).
სადაც მხოლოდ სინათლეა,
ელვისფერად ჟღერა სიმთა.
სადაც უფალს ტახტი უდგას,
გალობს დასი სერაფიმთა.

1979



სიყვარულით პირველმანილით

როცა დამეს მამლის ხმაზე,
დაედება ფერი ლილის,
როცა დილა მზეს იცინებს,
სწორედ მაშინ სიყვარულით –
სპეციაკით და პირველქმნილით,
მიწა –
ზეცას შესციცინებს.

1956



მზე, მთვარე, გარსპოლაგვები

მზე სიცხისგან ვერ განიკურნა,

მთვარე – სიცივისგან –

სნეულია,

არ შველით დღეები და

არც წამები!

მნათთა ისრებით დაისრული და

ნაწამები –

სამყარო ჩემი სხეულია.

1961



როს მწუხერი ღამის კარებს კეტავდა,
უცებ ძახილი მესმა
კრეტადან:
— კაცის ცხოვრება არის იოტა
და წამით მზისთვის თვალის
შევლება!
მაგრამ ამქვეყნად რა ეშველება —
ადამიანის ცოცხლად მჭამელ
ამდენ მინოტავრს¹.

1992

¹ მინოტავრი (ბერძ) — მინოსის (კრეტის მეფე) ხარი, ურჩხული, რომელსაც პქონდა ადამიანის ტანი და ხარის თავი



პგანტური შიხიბა

გზას კოსმიურ უღრანში,
რა ქნან, ველარ იგნებენ!
გარსპვლავებით ნაწერი,
შენი ოქროს წიგნები!
რადგან ცაში ირევა,
მილიონი სფერო... და
მილიარდი პლანეტა –
სადღაც თავს აკანტურებს...
.....
შენი პოეზია კი –
ფიზიკაა კვანტური.

2009



პორტილი

ჯიხვის რქა სავსე პირთამდე,
სულმოუთქმელად დაცალე...
ატყდა ხორხოცი ბოშური...
შენ კი, ვით შედან ჭილაძემ,
თვალთ შეაყარე ნაცარი,
ყველა მტერსა და
მოშურნეს.

1963



მარების¹ და მაკრონების²,
მაკრისების,³
მაკრალების⁴,
შიშით პონტოს ზღვაში ზვირთნი
აი,
ახლაც განკალებენ...

1965

^{1,2,3,4} – პონტოს (შავი) ზღვის სანაპიროზე მცხოვრები
კოლხთა მონათესავე ტომები



ხილვა: ალვა, პალმა, პიკარისი

“ტროას ცხენი” ჩუმად დალატს –
ჭიხვინებს და...
ცას ედება ფერი მოცხრის
და აქილევსს სასიკვდილოდ
ისარს სტყორცნის
კი, პარისი.
თუმც შრიალებს ხე – სიცოცხლის:
ალვა,
პალმა,
კიპარისი.

1967



ვატერლო, დიდგორი

მივიწყებული ცის და ღმერთების
სმა შოორეული —
შენში გაისმის...
სამყარო გულზე გადაიგორე!
რადგანაც ის იყო შენთვის
კრწანისი,
ვატერლოცა და ველი დიდგორის.

1989



ხილვა: ენდიქ, ბილგამეში

ხუთიათასწლეულის იქით,
საღლაც უღრანი,
დიდი ტყეა კედრების,
სწორედ ქარებს იქიდან –
მოაქვთ შავ,
გრილ დამეში:
ენქიდუს,
ღვთის – ყვედრება,
კედრება – გილგამეშის.

1959



၃၀၈ ကြော်လျှောက် ၄၁ မာဏာရမာ

ოცნების ცაში შობილნი,
მიწაზე ვერ დაიცდიან
და თავს ღრუბლებში მაღავენ.
კითა პაოლო და
ტიციან,

1958



ხილვა: ამორპალები


ქარებს მოაქვთ წარსულიდან –
ყიუინა და ფართა ქღერა
ზღვიდან ცეცხლად
ამომძვრალთა.
ფაზისთან და ოერმოდონტან
ისმის კვნესა –
ძუძუმოჭრილ,
შუბლგაჩეხილ ამორპალთა.

1958



ქართული “ლექსის” ყამირი
 ხომ ერთობ “გადააშავა”,
 ახლა “ბრდდვინი” რომ ადინა –
 ტრიოლეტებს და სონეტებს.
 წამდაუწეუმ რომ ახსენებს,
 შექსპირმა რა დააშავა,
 ანდა სახელმა განჯელის,
 თუ მისთვის ლექსის წერაა
 უფლის რისხვა და
 სასჯელი.

1987



ქუჯისა და ფარნავაზის

აღმოსავლეთ და დასავლეთ
საქართველოს ფარავს ვაზი...
მათრობელა სურნელი კი
ისევ ასდის მტკვარს და ფაზისს...
ცას რომ წვდება ღვინის შეფი,
ღვაწლი არის ორ დიდ მეფის:
ქუჯისა და
ფარნავაზის.

1989



ა. გ. ს.

ადამის ძის ნაშიერი,
ღვთისმოსავი უნდა იყოს,
სიხარულით შეხვდეს “ლილეს”,
სანამ ჟამი უწესრიგოდ
შეუკრავდეს –
პალტოს ღილებს.

1952



ხილვა: აძილები, თებიდა

სიკვდილი რომ არ მიკარებოდა,
ცეცხლზე აწრთობდა დედა –
თეტიდა.
და რა იცოდა,
მის შვილს აქილევსს,
რომ სიკვდილი ფეხზე ეკიდა.

1958



ხილგა: პონტაბორას შეთქმულება

კოხტაგორადან ქარს მოაქვს

წურჩული ერისთავების:

- მცხეთასთან,

მაღალ კლდეებზე

“ჯვარი” დგას რწმენის დარაჯად...

და ჩვენ კი თათარ-მონღოლებს,

დღეს ვუზამთ ისეთ ოინებს,

რომ ხვალვე ყველა ნოინი¹

აქეთ გვაძლევდეს ხარაჯას.²

1960

¹ ნოინი (მონღ) – მმართველი

² ხარაჯა (მონღ) – ხარკი



მოლოდინი

არავინ უწყის სად,
ანდა როდის,
თავს დაგვადგება სულთამხუთავი,
რომელმაც იცის
ქიცმაციც,
ქიციც.
და... მეუფეო!
ნუ გგონია თავი უკვდავი,
სიკვდილი ყველას ჭიშკართან
იცდის.


1989



300 გათა და არმნულტუ

ასწლეულებს მიაბოლებ,
ვით ბაბუა მეგრულ თუთუნს.
და ნაღდი და პირდაპირი,
ხარ ძველ კოლხთა გმირთა-გმირი,
ვით ვატა და
არამხუტუ.

1961



ხილვა: იუდეველთა მეზე

“სიკვდილის ღირსი არაფერი ჩაუდენია
იქსო ქრისტეს”.

ლუკა (13,23, 25)

ბერები და მღვდელმთავრები,
ვერცხლის მსუნაგ
მოყვარულებს,
ორ შაურსაც მიუგდებენ,
რომ დასწამონ ცილზე –
ცილი,
ქრისტე – “მეფეს იუდეველთ”.

1962



ხოლგა: იოანე ნათლისმცემელი

სულის თვალი კარგად ხედავს –
 ოწმენის მაგიდაზე დახრილს
 (მზე სიბნელეს აპობს ღამის)
 იოანე ნათლისმცემელს,
 ვითარცა ქმნის –
 “აპოკალიფს”
 (“გამოცხადება”).

1959



ჩემთვის დღე ყველა –
არის დიდგორი,
არის კრწანისი,
კელი მარტყოფის...
და შორით რაღაც მოჩანს ეწერად!
ვიცი,
რომ კვალში მიდგას
არყოფნა,
მაგრამ...
მგონია, ვერ დამეწევა!

2016



კით ბადრი და უსუპი,
ამირანი,
აბრსკილი,
შენც მათიდან მოხვედი,
მიტომა ხარ კოლხეთის –
წარსულს გადანასკგილი.

1960




ხილვა: ქანაანი და იუდეა

ქანაანს და იუდეას,
მღვდელმთავართა ჩანს მაფია
(ვითა დამით,
დღის მძლაველი)
და ამას წეს ქალდეველი
მატაფიას¹ –
“იუდეის სიძველენი”.

1961

¹ იოსებ ბენ მატაფია (იოსებ ფლავიუსი) – “იუდეის სიძველენის” ავტორი, ისტორიკოსი (37-100 წწ.)



ՅՈՒՆԵՏԵՂՋԱ

Ճաշո Ճո Ճռօ,
Յոշինատյղաց,
Ծամու Ի՞յցգուածմո յժյօն
Տոմարտլյես...
Ճա ճյ Ճարհինու Ի՞յտյօն Ի՞յցտյօն -
Տարչացս...
Մոռրյալ Ճիաս -
Օսինատլյօն.

1956



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
გრაალის და მზის ტაძარს	25
ნეტარი ავგუსტინე	26
სუფიები	27
მზის პალოზე დაები	28
*** მზის ნაშიერს და ცის ბინადარს	29
ორფეოსივით	30
*** როს ჭეშმარიტი წინ გვიდევს წიგნი	31
დელფინები	32
*** დარდის შიშისფერ ტოტზე შემჯდარი	33
ორ დიდ ალექსანდრიელს	34
გენია	35
*** სულის თვალში ჩაიბუდე	36
სიცოცხლის და ხე ცნობადის	37
*** წარსულიდან გამოიხმე	38
ოქროსფერი ფსალმუნები	39
800	40
ერთგულება	41
ვარსკვლავების ქვებით ნაგებს	42

*** სიყვარულის პომილიებს	43
ორი ერესი	44
*** წარსულიდან მოტანილს	45
ოქროს ფსალმუნები	46
ასწლეულები	47
მზის და მთვარის სასწორი	48
*** დღე – ყოველი იდუმალ	49
*** ამ ცისქვეშეთში	50
*** ქაოსიდან ამოსული	51
როგორც ვარდი შირაზის	52
წიგნი – ამირანი	53
*** ათასწლეულების იქით	54
*** ასი ათასწლეულის	55
*** მიმწუხრისას ისევ ისე	56
ჰომა და ჰამოა	57
გაბრძნობა და გამობრძმედა	58
ადამ კადმოსივით	59
მატიტელა	60
*** შოორს	61
პრომეთე და იაკობი	62
*** პოეზიის მაღალ ცისქვეშ	63
არაბები... მონგოლები	64
განჭაბუკების ბალახი	65

წვენო მამულო	66
*** პონტოს პირას	67
*** ვერა და ვერ გაამრთელე	68
ალბათ...	69
შუმერთა და ქალდეველთა	70
*** ღმერთს მთიებით უგალობდი.....	71
პოეზიის იმპერია.....	72
ოთხი სახარება	73
*** სხვებმა გაითავისეს	74
კოლხეთი	75
მთიები	76
ფილოსოფოსთა ფილოსოფოსი	77
*** მზის ცხელ ქუჩაში	
გამოწროობილი	78
*** საიდანდაც ისევ მოდის	79
*** ოქროს ცის ნის ტოტიდან	80
სირიის თუ პალესტინის	81
მამულო	82
ისევ კოლხეთი	83
*** დღე-დამის უღრანში	84
*** ზოგჯერ კი ასეც მომხდარა	85
პოეზიის მერიდიან	86
კირ, კამბი, ანშანი	87

ამირანი	88
ღამის სტუმარი	89
ეა-ენქი	90
ქალდე და ჰელიოსი	91
*** ბიბლიიდან ისევ მესმის	92
საუკუნე – XXI	93
გოხნარის მეგალითები	94
ღამე ფშავში	95
ხილვა: ფინიკიულები	96
შემოდგომა ფშავ-ხევსურეთში	97
ნუსხა-ხუცურსა და მრგლოვანს	98
მცხეთა – 3500	99
ტოტემი	100
ამირანტ – მთა	101
კოლხეთი – XV-XIV სს.	102
სულიწმინდის კარნახით	103
*** ლოცვად იდგნენ ქედები და	104
კიროს მეორე, დარიოს პირველი	105
როგორც ყვავილი დანძილის	106
ისევ “კოლხური ფსალმუნები”	107
უამს ქუჯის და ფარნავაზის	108
აბზუ – აფსარ – ენგური	109
60	110

კიტრიშული კარბადინი	111
სიმარტოვე	112
სულუმალი მილიდელი	113
უშგულში	114
მონეტები	115
თბილისი – 1500	116
კოლხთა წარსული	117
*** სადღაც	118
*** შარას კი არა, მივყვებით ბილიკს	119
ანდრეზი	120
ამაღლება	121
*** პონტოს პირას	122
შენ კოსმოსში ბინადრობ	123
*** მიილია ერგასი	124
*** მას მორჩილებს ზღვა და სმელი	125
ხვედრი ქალდეველ-ატლანტიდელთა	126
*** რჯულიანთ თუ ურჯულოთ	127
ორი იოანე	128
მეგალითები, მონოლითები	129
გალაქტიკები, პლანეტები	130
ისევ კოლხეთი	131
კანანელი და მატათა	132
ხმა	133

პოეტი	134
დიდ ქვეყანას კოლხეთის	135
ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი	136
სინათლის სვეტი	137
*** იოანეს სახარებას	138
ხილვა: მოსე და მარიამი	139
მწერი	140
*** რადგან საუნჯე უთვლელი	141
პემინგუელს და იაშვილს	142
ხილვა: წმინდა ნინო კაბადოკიელი	143
პოეტის სული	144
*** ხოე ჩამოდის სინათლედ	145
*** ჩვენ, გადამფრენი	
ფრინველებივით	146
მზე	147
*** ზეცა – სკაა კოსმიური	148
*** იმედის დასამარების	149
*** მებმა სიჩუმეს გადუტყვლაშუნა	150
*** კარგად იცი	151
მიწა-მკურნალი	152
*** ასეა ოდიდან	153
მზისა და მოვარის პიმნი	154
შიში	155

მზე	156
*** წარსულიდან ქარიშხალს	157
*** ვარსკვლავებით ნაგები	158
ატლანტიდელ ქალდეველებს	159
*** ვითარცა დარეჯანის ძე	160
*** ვინაც გულით ილოცა	161
ხილვა: ზაბილონი და სოსანა	162
*** ვინც აღუვლენს უფალს ლოცვას	163
*** ხილული თუ უხილავი	164
კოლხური მზე	165
კიპარისი	166
განთიადის ვარსკვლავი	167
სიბრძნის ღვინო	168
შამბალა და ანდები	169
*** ტიგროსი და ეგფრატის	170
აღსარება	171
*** წუთისოფლის ტიალ გზაზე	172
*** ლამე მოჰვავს ჰარამხანას	173
ხშირად ხდები ავად ლექსით	174
ოშქს, ოშხნს, კოლა-არტანს	175
*** ვითარცა მზე პირმცინარე	176
კიმირიელთ სასანიდებს	177
ცაა – უფლის სავანე	178

პეროსტატე	179
პერმეტული	180
მგრსანი	181
ბედიის ტაძარი	182
ბაწარაული	183
კოლხმა გამაკეთა მე	184
ხეგსურული ქუიდ	185
უცხო სასაფლაო	186
აფხაზნი და ოდიშარნი	187
ლიკანი	188
უფალი თუ გაიმეტებს	189
ხილვა: ხეთი და მიდია	190
ქარიშხალი ზღვაზე	191
ხილვა: შავშეთ-ერეშეთი	192
უაკ მარიტენი, უორჟ რუო	193
ორი მისტრალი	194
ხილვა – “მარი”	195
*** საიდანდაც მოფრენილმა	196
*** ზოგი რწმენით სნეულია	197
შენი კოლხეთი	198
ჭეშმარიტების ტევანი	199
გზას კი ყოფნა გვასწავლის	200
*** ოოცა რომს გადაგუფრინეთ	201

ათი მნათი	202
რუალ ამუნდსენ	203
კაცთა და გუნება	204
იასამანი	205
1941 წლის 15 მაისს	206
სურვილი	207
*** აიეტის ნაშიერი	208
*** ღმერთს მინდობილი, ვით მაცხოვარი.....	209
*** საუკუნე მიიღია	210
მოლოდინი	211
ფაზისი და ოქრმოდონტი	212
უფლისადმი აღვლენილი	213
ცეცხლს, წყალსა და ჰაერსაც	214
ადგილის დედა	215
მეცამეტე ცა	216
სიყვარულით პირველქმნილით	217
მზე, მთვარე, ვარსკვლავები	218
*** როს მწუხრი დამის კარებს	219
კვანტური ფიზიკა	220
ქორწილი	221
*** მარების და მაკრონების	222
ხილვა: აღვა, პალმა, კიპარისი	223

გატერლო, დიდგორი	224
ხილვა: ენქიდუ, გილგამეში	225
ვით ბოდლერი და მალარმე	226
ხილვა: ამორძალები	227
*** ქართული “ლექსის” ყამირი	228
ქუჯისა და ფარნავაზის	229
*** ადამის ძის ნაშიერი	230
ხილვა: აქილევსი, თეტიდა	231
ხილვა: კოხტაგორას შეთქმულება	232
მოლოდინი	233
ვით ვატა და არმხუტუ	234
ხილვა: იუდეველთა მეფე	235
ხილვა: იოანე ნათლისმცემელი	236
*** ჩემთვის დღე ყველა	237
*** ვით ბადრი და უსუპი	238
ხილვა: ქანაანი და იუდეა	239
ციცინათელა	240

2. December 18



2020.6.

გაზა ებრისელი

პოლჩური ფსალმუნები

100 ფორად
ფორმი 48

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHISALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 48

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – გულიძო გოგიაშვილი |
| მხატვარი | – საართაგ ციცელაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუბიაძე |
| კორექტორი | – სოფო ციცელაძე |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა ჭა ლათო ყალბაშვილები |
| გამომცემელი | – ზურაბ დოლგაია |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკნიკური №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com